პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
13 დეკემბერი
1940 წ.
№ 288 (5989)
ფასი 10 კაპ.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი** დაუღალავად ზრუნავენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებანი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის, კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებებზე, ცვლილებანი სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში და სხვ. მიმართულია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისაკენ. კოლმეურნე გლეხობა ყოველდღიურად გრძნობს პარტიისა და მთავრობის უდიდეს დახმარებას.

პარტიისა და მთავრობის დირექტივების განუხრელად შესრულებით, საქართველოს კოლმეურნეობანი წელს, მიუხედავად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, კარგ შემოსავალს იღებენ. ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული პოლიტიკის შედეგად თვალსაჩინოდ იმატა საკოლმეურნეო შრომის ხვავმა და ბარაქამ. 1933 წელს საქართველოს კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 79.243 ათას მანეთს უდრიდა, 1939 წელს კი — 468.322 ათას მანეთს, ხოლო 1940 წლის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი ნავარაუდევია 628.017.046 მანეთის რაოდენობით.

მიმდინარე სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება. კოლმეურნეობები ემზადებიან საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილებისათვის. საკოლმეურნეო შემოსავალი უნდა განაწილდეს მას შემდეგ, როცა კოლმეურნეობას პირნათლად აქვს შესრულებული სახელმწიფო ვალდებულებანი და გამოყოფილი აქვს საზოგადოებრივი ფონდები არტელის სტალინური წესდების შესაბამისად. მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების შექმნას. საქართველოს კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები ყოველწლიურად იზრდება. 1939 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდში 489.975.765 მანეთი ირიცხებოდა, 1940 წლის 1 იანვრისათვის კი 606.478.964 მანეთი. საქართველოს კოლმეურნეობებში დაგროვების ზრდა ფრიად სასიხარულო ფაქტია. განუყოფელი ფონდების ზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცების ძირითადი პირობაა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-12 მუხლი ითვალისწინებს განუყოფელი ფონდების ყოველწლიურად შევსებას. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით გადარიცხვა განუყოფელი ფონდების შესავსებად ხდება მარცვლეულის რაიონებში არტელის ფულადი შემოსავლის არანაკლებ 12 და არაუმეტეს 15 პროცენტის რაოდენობით, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის რაიონებში არანაკლებ 15 და არაუმეტეს 20 პროცენტის რაოდენობით.

საქართველოს ზოგიერთ კოლმეურნეობაში ეს წესი დაარღვიეს. განუყოფელ ფონდში გადარიცხეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდებით გათვალისწინებულ ნორმებზე ნაკლები, ზოგან კი განუყოფელი ფონდები ფორმალურად გამოჰყვეს და თანხა სასოფლო-სამეურნეო ბანკში არ შეიტანეს, ზოგან მას არაწესიერად ხარჯავენ.

1939 წელს გეგეჭკორის რაიონის 10 კოლმეურნეობამ, სოხუმის რაიონის 4 კოლმეურნეობამ, თბილისის რაიონის 4 კოლმეურნეობამ, დუშეთის რაიონის 6 კოლმეურნეობამ, თიანეთის რაიონის 4 კოლმეურნეობამ განუყოფელ ფონდში წესით დადგენილზე ნაკლები თანხა გადარიცხა.

1940 წლის 1 იანვრისათვის ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებს განუყოფელ ფონდში გადარიცხული თანხა — 500 ათას მანეთზე მეტი — სასოფლო-სამეურნეო ბანკში არ შეუტანიათ. ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობებს — 2.155 ათასი მანეთი, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებს — 1.210 ათასი მანეთი, თბილისის რაიონის კოლმეურნეობებს — 274 ათასი მანეთი. ასეთ ფაქტებს ადგილი აქვთ ლუქსემბურგის, გორის, წითელწყაროს, ლაგოდეხისა და სოხუმის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

თბილისის რაიონის სოღანლუღის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში განუყოფელი ფონდის ნაწილი მიმდინარე საწარმოო საჭიროებისათვის (ვენახის ჭიგოს შეძენა) დახარჯეს. მახარაძის რაიონის სოფ. ექადიის კოლმეურნეობაში წვრილი ინვენტარი (საფერფლე, სამელნე, საშრობი, ბოქლომი, ჩაის კოვზები) შეძენილია კაპიტალური დაბანდების ანგარიშით, მაშინ როდესაც ასეთი დანახარჯები ადმინისტრატიულ-სამეურნეოს ეკუთვნის. ასეთ ფაქტებს ვხვდებით ამავე რაიონის სოფ. ხვარბეთის კოლმეურნეობაშიც.

პარტია და მთავრობა პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებისაგან მოითხოვენ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს განუყოფელი ფონდების განიავებას, ამ ანტისაკოლმეურნეო და ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას. კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების მძლავრი საშუალების— განუყოფელი ფონდების არაწესიერი ხარჯვა, ამ ფონდების შეუქმნელობა შეფასებულ უნდა იქნას, როგორც საზოგადოებრივი საკუთრების განიავება და დამნაშავენი მიცემულ უნდა იქნან მკაცრ პასუხისგებაში.

კოლმეურნეობებს ყველა საშუალება აქვთ შეავსონ არტელის განუყოფელი ფონდები. კოლმეურნეობები ვალდებული არიან აღადგინონ 1938 და 1939 წლებში განუყოფელ ფონდებში შეუტანელი სახსრები—ნახევარი თანხა 1940 წლის შემოსავლიდან, დანარჩენი ნაწილი კი 1941 წლის შემოსავლიდან. საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მტკიცე კონტროლი უნდა დააწესოს განუყოფელი ფონდების სწორად ხარჯვაზე. ბანკს უფლება აქვს შეუწყვიტოს სახელმწიფო კრედიტი იმ კოლმეურნეობას, რომელიც არ იცავს განუყოფელი ფონდების შექმნის, ხარჯვისა და შენახვის წესებს.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყველა კოლმეურნეობაში უნდა შეამოწმონ განუყოფელი ფონდების მდგომარეობა და მიიღონ ყველა საჭირო ზომა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-12 მუხლის განუხრელად დაცვისათვის.

პარტიის რაიკომები, რაისაბჭოების აღმასკომები, რაიმიწგანები, მტს-ები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს, რომ შემოსავლის საბოლოო განაწილებამდე განუყოფელი ფონდები შევსებულ იქნას ისე, როგორც არტელის სანიმუშო წესდების მე-12 მუხლი მოითხოვს. რაისაბჭოების აღმასკომებმა თავიანთ სხდომებზე უნდა განიხილონ და დაამტკიცონ კოლმეურნეობათა დადგენილება შემოსავლის განაწილებაზე და უზრუნველჰყონ არტელის ფულადი შემოსავლიდან განუყოფელ ფონდში კანონით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა. ამას მოითხოვს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესები.

დიღმის სარწყავი სისტემის მესამე ზონის მშენებლობა დამთავრებულია ვადაზე ადრე

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებაში „საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ ჩაწერილია, რომ „1941 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ დიღმის სარწყავი სისტემის მესამე ზონის მშენებლობა თბილისის რაიონში, 560 ჰექტარი ახალი სარწყავი მიწების მიღებით, რისთვისაც გაიყვანონ არხი 10,6 კილომეტრის სიგრძისა“.

თბილისის რაიონის დიღმის კოლმეურნეებმა განსაკუთრებული შრომითი ენთუზიაზმით, მუშაობის ფერგანული მეთოდის გამოყენებით ვადაზე ადრე — 1941 წლის ნაცვლად 1940 წლის 11 დეკემბერს — 17 დღის განმავლობაში შეასრულეს დიღმის სარწყავი სისტემის მესამე ზონის მიწის ყველა სამუშაო, ამოიღეს 35.000 კუბური მეტრი მიწა, გაიყვანეს მაგისტრალური არხი 10,6 კილომეტრზე და კოლექტორები და გამანაწილებლები 24,4 კილომეტრზე, სულ კი არხები 35 კილომეტრზე.

თბილისის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ყოველ ძალღონეს ხმარობენ, რომ ბოლშევიკურად, ვადაზე ადრე შეასრულონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების ყველა სტალინური დავალება.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანი
ლეკიშვილი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
წამალაიძე

გეგმის 105.7 პროცენტი

წყალტუბო, 12 დეკემბერი (საქდესი). წყალტუბოს რაიონმა გადაჭარბებით — 105,7 პროცენტით შეასრულა მზრალად ხვნის გეგმა. მოხნულია 2.115 ჰექტარი.

სოფ. ფარცხანაყანევის ბერიას სახელობის და სოფ. მუხიანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა მზრალად ხვნის გეგმები 160-200 პროცენტით შეასრულეს.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო სათხილამურო კროსი

მოსკოვი. დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო ყოველწლიურად ატარებს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო სათხილამურო კროსს. ორი წლის წინათ კროსში მონაწილეობას იღებდა 130 ათასი კაცი, ხოლო 1940 წლის დამდეგს — 355 ათასი კაცი.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით ამ სეზონში პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო სათხილამურო კროსი 1941 წლის 1 იანვარს დაიწყება და 26 იანვარს დამთავრდება. კროსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მუშას, მოსამსახურეებს, მოსწავლეებსა და მათი ოჯახების წევრებს. კროსის მონაწილეთათვის დაწესებულია სხვადასხვა დისტანციები, მათ შორის გასამხედროებული ლაშქრობა. (საქდესი).

„შახტანტრაციტის“ ძველ მაღაროელთა დაჯილდოება

ტრესტ „შახტანტრაციტის“ („როსტოვუგოლის“ კომბინატი) საწარმოებში მუშაობს ბევრი მაღაროელი, რომელმაც 40 და მეტი წელი მოახმარა წარმოებას. მრავალი წლის მუშაობისა და შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულებისათვის სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ვახრუშევმა ტრესტის 56 ძველი მაღაროელი დააჯილდოვა ნიშნით „სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსანი“ და სახალხო კომისარიატის ქების ფურცლით.

ჯილდო ეძლევა დარაჯს, ამხ. ივაშჩენკოს, რომელიც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია მუშაობს შახტში, მეაუზე ქალებს—ამხ. ტიშჩენკოსა და სტეპანოვას, რომელთაც 50-ზე მეტი წლის საწარმოო სტაჟი აქვთ, მერემონტე ზეინკალს რუსაკოვს, რომელიც 55 წელია მუშაობს შახტებში, და სხვ. (საქდესი).

მიტინგი განაპირა ჩრდილოეთში

ტურა, 11 დეკემბერი (საქდესი). გუშინ, 40 გრადუსი ყინვის მიუხედავად, ტურის მცხოვრებნი კლუბში შეიკრიბნენ ევენკის ნაციონალური ოლქის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგზე.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ **სტალინისა** და **მოლოტოვის** სახელზე.

მიტინგები ყველგან იმართება. საიუბილეო თარიღის აღსანიშნავი სახალხო დღესასწაულები მარტში შესდგება, საბეწვეულო მხეცებზე ნადირობის დამთავრების შემდეგ.

კიშინიოვის სახელმწიფო ელექტროსადგურის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამხანაგი ი. ბ. სტალინი

კიშინიოვი, 11 დეკემბერი (საქდესი). უდიდესი აღფრთოვანებით ჩაიარა წინასაარჩევნო კრებამ კიშინიოვის სახელმწიფო ელექტროსადგურში. მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურენი შეიკრიბნენ, რათა განეხილათ მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურა. დაესწრო 200 კაცი.

სიტყვა ეძლევა ძველ მემანქანეს, კირილე სტეფანეს-ძე ვისკრებოვს.

— მოლდავეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად, — ამბობს იგი, — ვასახელებ იმას, ვინც გაგვათავისუფლა რუმინელი ბატონების მონობისაგან, ვინც მოგვცა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია, — ჩვენს მშობლიურ, საყვარელ **სტალინს.**

ტაშის გრიალით, ამხანაგ სტალინის პატივსაცემად მისალმების შეძახილებით შეხვდნენ კრების მონაწილენი ძველი მუშის ამ სიტყვებს.

დიდად მგრძნობიარე სიტყვით გამოდის ზეინკალი ტიგრან ივანეს-ძე ლაზარიანი:

— **სტალინი** ჩვენი მზეა! მისი სახელი ყველას გვაფრთოვანებს თავგანწირული მუშაობისათვის, საგმირო საქმეებისათვის სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ. მონობისაგან განთავისუფლებულ ბესარაბიაში სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ ჰყვავის ბედნიერი, საამური ცხოვრება.

ორატორმა გამოსთქვა კრების ყველა დამსწრის, მთელი განთავისუფლებული ბესარაბიელი ხალხის გრძნობები და ფიქრები.

— გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**— გაისმის შეძახილები. კვლავ იწყება მძლავრი ოვაცია. კრება არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით იღებს დადგენილებას:

„კიშინიოვის სახელმწიფო ელექტროსადგურის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მოსამსახურენი მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ასახელებენ ამხანაგ **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს,** 1879 წელს დაბადებულს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ქ. მოსკოვში მცხოვრებს, და სთხოვენ ამხანაგ **სტალინს** დასთანხმდეს და კენჭი იყაროს **ლენინის** საარჩევნო ოლქში № 264“.

ხალხის ერთგული შვილი

აკერმანი, 11 დეკემბერი (საქდესი). აკერმანის № 622 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ტატარბუნარის რაიაღმასკომის კადრების განყოფილების გამგე, ამხ. ი. ნ. ბატიშჩევი.

გუშინ საღამოს ქალაქის თეატრის ხალხით გაჭედილ დარბაზში ამხ. ბატიშჩევი თავის ამომრჩევლებს შეხვდა. შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ ხალხის ერთგულ შვილს, ტატარბუნარის 1924 წლის აჯანყების ერთერთ ხელმძღვანელს.

—ამხ. ბატიშჩევთან ერთად მე 8 წელიწადს ვიჯექი რუმინეთის საპატიმროში, — ამბობს სახალხო განათლების საოლქო განყოფილების მუშაკი ამხ. იალამოვი.—იუსტიმ ნიკოლოზის-ძე ამხნევებდა პატიმრებს და მოუწოდებდა შეინახონ ძალები მომავალი ბრძოლისათვის. 16 წელი გაატარა მან კატორღაში.

მოვუწოდებ ყველა ამომრჩეველს ხმა მისცენ მას არჩევნების დღეს.

მასწავლებელმა ქალმა ამხ. იავოროვსკაიამ, ხელოვნების მუშაკმა ამხ. ფალიკოვმა, დიასახლისმა ამხ. კლეშავამ და სხვებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხ. იალამოვის მოწოდებას.

შემდეგ გამოვიდა ამხ. ი. ნ. ბატიშჩევი. მან დამსწრეთ გააცნო თავისი ცხოვრების გზა და დიდი მადლობა გადაუხადა მშრომელებს მისდამი დიდი ნდობის გამოჩენისათვის.

სახელმძღვანელოები უმაღლესი სკოლისათვის

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა უმაღლეს სასწავლებელთა სახელმძღვანელოების გამოცემის 1941 წლის გეგმა.

უმაღლესი სკოლა 325 სახელმძღვანელოს მიიღებს ცოდნის სხვადასხვა დარგში. ავტორთა შორის არიან ჩვენი ქვეყნის უდიდესი მეცნიერები და სპეციალისტები.

პირველად იქნება გამოცემული სახელმძღვანელო—„XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დამდეგის რუსული კრიტიკის ისტორია“. განზრახულია ხელახლად გამოიცეს სახელმძღვანელოები „სსრ კავშირის ისტორია“ და „ახალი ისტორია“.

პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლებისა და უნივერსიტეტთა ისტორიული ფაკულტეტებისათვის გამოიცემა „რუსული ლიტერატურის ისტორია“ პროფ. ეგოლინის რედაქტორობით და სახელმძღვანელო—„თანამედროვე რუსული ენა“ პროფ. ვინოგრადოვის რედაქტორობით.

დიდი ყურადღება ექცევა უცხო ენების სახელმძღვანელოთა გამოცემას. უმაღლესი სასწავლებლებისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების უფროსი კურსებისათვის გამოცემული იქნება სპეციალიზებული სახელმძღვანელოები — ქრესტომატია გერმანულ და ინგლისურ ენაზე მეტალურგიის, ელექტროტექნიკის, გეოლოგიის, ქიმიისა და ტრანსპორტის დარგში. პირველად სდგება სახელმძღვანელოები დაუსწრებელი უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

ხელოვნებათმცოდნეობის უმაღლესი სასწავლებლები მიიღებენ ახალ სახელმძღვანელოებს — ხელოვნებათა საყოველთაო ისტორიას, სსრ კავშირის ხელოვნების ისტორიას და სსრ კავშირის ხალხთა მუსიკის ისტორიას.

სახელმძღვანელოთა ნაწილი კონკურსის წესით არის მომზადებული. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 12 დეკემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ 11 დეკემბერს, ღამით, გერმანიის ავიაციის დიდი ძალები თავს დაესხნენ სამხრეთ და ცენტრალურ ინგლისის მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს. მათ წარმატებით დაუშინეს ყუმბარები ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე მრავალ ქალაქს. ბევრ ადგილას გაჩნდა დიდი ხანძარი. ჩამოგდებულ იქნა მტრის 4 თვითმფრინავი. გერმანიის 2 თვითმფრინავი უკვალოდ დაიკარგა.

გუშინ გერმანიის ავიაციის შენაერთებმა მოახდინეს მთელი რიგი თავდასხმები ინგლისის გემებზე. ორი სავაჭრო გემი ძლიერ დაზიანდა. დაახლოებით 2 ათას ტონამდე წყალწყვის სავაჭრო გემი, აგრეთვე ტანკერი ჩაძირულ იქნა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 12 დეკემბერი (საქდესი). ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ გერმანიის ავიაციის მოქმედება 11 დეკემბერს, ღამით, კონცენტრირებული იყო ცენტრალური ინგლისის ერთერთი ქალაქის რაიონში. ამ ქალაქზე თავდასხმას მეტად ფართო ხასიათი ჰქონდა. ბომბარდირება მთელ ღამეს გრძელდებოდა. რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა.

ინგლისის სხვა რაიონებში მტრის ავიაცია უფრო ნაკლებ აქტივობას იჩენდა.

ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა 11 დეკემბერს, ღამით, ყუმბარები დაუშინეს რაინის პროვინციის სამრეწველო საწარმოებს.

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 12 დეკემბერი (საქდესი) გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, რომ 11 დეკემბერს, ღამით, გერმანიის ავიაცია მცირე აქტივობას იჩენდა, თუმცა ამინდი ხელსაყრელი იყო. გერმანიის ცალკეული თვითმფრინავები ჩნდებოდნენ ლივერპულთან და სამხრეთ უელსის სხვადასხვა პუნქტში.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ წუხელ მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარები დააყარეს ლონდონს, რაც უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში პირველი შემთხვევა იყო.

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 12 დეკემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას:

„გერმანიის ერთმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ოთხი სავაჭრო გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 30.000 ტონას შეადგენდა. 11 დეკემბერს დავაზიანეთ ერთი გემი, ჩავძირეთ ერთი სავაჭრო გემი 1.500 ტონა წყალწყვისა და ერთ ტანკერს ტყვიამფრქვევები და ქვემეხები დავუშინეთ. დაზიანებულია მეორე სავაჭრო გემი.

11 დეკემბერს, ღამით, გერმანიის ავიაციის დიდი შენაერთები წარმატებით დაესხნენ თავს ცენტრალურ და სამხრეთ ინგლისის მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს.

ინგლისის რამდენიმე თვითმფრინავმა წუხელ ყუმბარები ჩამოჰყარა ოკუპირებული ტერიტორიისა და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის ზოგიერთ პუნქტში. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. ოკუპირებულ რაიონებში მოკლულია ორი კაცი და დაჭრილია რამდენიმე.

ჩამოგდებულ იქნა მტრის ოთხი თვითმფრინავი. გერმანიის ორი თვითმფრინავი უკვალოდ დაიკარგა“

საბერძნეთ-იტალიის ომი

ათენი, 12 დეკემბერი (საქდესი). საბერძნეთის სარდლობა იუწყება, რომ, მტრის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, საბერძნეთის ჯარის წინსვლა გრძელდება სხვადასხვა მიმართულებით. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და საომარი საჭურველი.

საბერძნეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ცნობით, გუშინ მოწინააღმდეგის ავიაცია ერთხელაც კი არ დასხმია თავს საბერძნეთის შიდა რაიონებს.

ლონდონი, 12 დეკემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დიდი ბრძოლა გრძელდება პოგრადეც-მოსკოპოლეს სექტორში. იტალიელები ახალ მძიმე ქვემეხებს იყენებენ. ფრონტის ერთ უბანზე იტალიელებმა ბერძნებს ზოგიერთი მეორეხარისხოვანი პოზიცია დაატოვებინეს.

გააფთრებული ბრძოლაა მოკრის მთის ჩრდილოეთ ფლანგზე, პოგრადეცის მახლობლად, სადაც იტალიელთა წინააღმდეგობა, მაშველი ძალების ჩამოსვლასთან დაკავშირებით, გაძლიერდა. ბერძნები მოულოდნელად დაესხნენ თავს იტალიელი მოტოციკლისტების კოლონას, რომელიც ლინით მიემართებოდა, და ხელთ იგდეს 11 მოტოციკლი.

ძლიერი ბრძოლაა მდინარე დევოლის სექტორში. მდინარე შკუმბის ხეობაში, რომელიც ელბასანისაკენ მიდის, აგრეთვე ოხრიდის ნაპირზე ბერძნებმა წინ წაიწიეს.

ნიუ-იორკი, 12 დეკემბერი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, იტალიელებმა კონტრიერიშები მიიტანეს სამ ფრონტზე და ხელთ იგდეს ზოგიერთი ტერიტორია მოსკოპოლეს ჩრდილოეთ - დასავლეთით, მალინის მახლობლად, პოგრადეცის დასავლეთითა და ჩრდილოეთით.

გრძელდება ბრძოლა პოგრადეცის ჩრდილოეთით. იტალიელთა მაშველი ძალები, რომლებიც ამ ფრონტზე თვითმფრინავებით ჩაიყვანეს, უკან იხევენ.

იტალიის ცნობა

რომი, 12 დეკემბერი (საქდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგს ცნობას: „საბერძნეთის ფრონტზე მოგერიებულ იქნა მოწინააღმდეგის რამდენიმე განცალკევებული იერიში. ხელთ ვიგდეთ ტყვიები და ავტომატური იარაღი. ჩვენმა ავიაციამ, არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, ყუმბარა დაუშინა ჯარის თავმოყრილ ნაწილებს ბოროვის რაიონში და გემებს პატრის ყურეში.

ჩრდილოეთ აფრიკაში ოპერაციები გრძელდება. გუშინ, დღისით, გააფთრებული ბრძოლა ხდებოდა ბაყბაყის რაიონში, სიდი-ბარანის დასავლეთით. მოწინააღმდეგემ დიდი დანაკლისი და მატერიალური ზარალი განიცადა. ჩვენი დანაკლისიც საგრძნობია.

საჰაერო ბრძოლის დროს, რომლის შესახებ 10 დეკემბრის ცნობაში ვიუწყებოდით, ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის არა ოთხი, არამედ 13 თვითმფრინავი. შვიდი ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

აღმოსავლეთ აფრიკაში მცირე რაზმები მოქმედებენ. ინგლის-ეგვიპტის სუდანის საზღვარზე ჩვენმა ერთერთმა პატრულმა მოულოდნელად იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის საგუშაგოზე და მოსპო იგი. ტესენეის რაიონში (ერიტრეა) მოწინააღმდეგის რამდენიმე ტანკმა და 5 ჯავშნიანმა ავტომობილმა სცადეს შემოჭრილიყვნენ ჩვენს ზურგში, მაგრამ ისინი ჩვენი ჯარის ნაწილებმა და ტანკსაწინააღმდეგო არტილერიამ უკუაქციეს. იტალიის მზვერავმა თვითმფრინავმა, რომელზედაც იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის 7 ავიაგამანადგურებელმა, ჩამოაგდო ერთი თვითმფრინავი. ჩვენი თვითმფრინავი უვნებელი დარჩა.

ინგლისის ერთი კრეისერი გამოჩნდა კიზიმაიოს რაიონში (იტალიის სომალი) და რამდენიმე ყუმბარა ესროლა ქალაქს, მაგრამ ამაოდ. ჩვენმა სანაპირო ბატარეებმა კრეისერს სროლა აუტეხეს. მოწინააღმდეგის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ეგეისა და ელ-უაკის რაიონებს“.

აჯანყებანი ვან ძინ-ვეის ჯარში

შანხაი, 12 დეკემბერი (საქდესი). როგორც გაზეთი „ძუნმეიჟიბაო“ იუწყება, ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გადიდდა ვან ძინ-ვეის არმიის ჯარისკაცების აჯანყებათა რიცხვი. 29 ნოემბერს აჯანყდა ვან ძინ-ვეის არმიის პირველი ბატალიონი, რომელიც დაბანაკებული იყო ანხუეის პროვინციაში ჯარისკაცები შეუერთდნენ ნაციონალური მთავრობის ჯარს და თან მიიტანეს დიდძალი იარაღი და ამუნიცია. 7 დეკემბერს აჯანყდა ვან ძინ-ვეის არმიის მესამე პოლკი, რომელიც ძიანსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში იმყოფებოდა. მთელი პოლკი უფროსის მეთაურობით ნაციონალური მთავრობის ჯარის მხარეზე გადავიდა.

ქალაქ ბელცის შაქრისა და სპირტის ქარხნების მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი

ბელცი, 11 დეკემბერი (საქდესი). ქ. ბელცის შაქრისა და სპირტის ქარხნების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებას 400-ზე მეტი კაცი დაესწრო. დღის წესრიგში დგას მოლდავეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება.

სიტყვა ეძლევა შაქრის ქარხნის კადრების განყოფილების გამგეს ამხ. ევა რაბს.

— წინადადება შემომაქვს,— აცხადებს იგი, — მოლდავეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი — საბჭოთა მთავრობის მეთაური, ამხანაგი **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.**

ამხ. რაბის წინადადებას ძლიერი ოვაციით ხვდებიან. ტრიბუნაზე ადის ამ ქარხნის ზეინკალი ამხ. ვარგულიაკი.

— მრავალი წლის მანძილზე,— სთქვა ამხ. ვარგულიაკმა,—მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მთავრობის გამოჩენილი ხელმძღვანელი, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი** განუხრელად ანხორციელებს მშვიდობიანობის და ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სტალინურ პოლიტიკას, რაც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის უზრუნველჰყოფს ბედნიერ ცხოვრებას, უზრუნველჰყოფს ჩვენი სამშობლოს აყვავებასა და ძლევამოსილებას.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო შემდეგი დადგენილება:

„ბელცის შაქრისა და სპირტის ქარხნების მუშაკთა კოლექტივები, რომლებმაც თავი მოიყარეს მოლდავეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილ წინასაარჩევნო კრებაზე, მოლდავეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებენ საკ. კ. პ. (ბ) წევრს, ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს,** რომელიც მუშაობს მოსკოვში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად. კრება სთხოვს ამხანაგ **მოლოტოვს** მოგვცეს თანხმობა კენჭი იყაროს მოლდავეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ბელცის № 124 საარჩევნო ოლქში“.

მეტეოროლოგთა და ჰიდროლოგთა თათბირი

საუბარი სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს უფროსთან, საბჭოთა კავშირის გმირ ე. კ. ფედოროვთან

ლენინგრადი, 11 დეკემბერი (საქდესი). გუშინ, ოთხი დღის მუშაობის შემდეგ, დაიხურა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს პირველი სესია. საბჭოს წევრების გარდა, სესიას დაესწრნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს, სსრ კავშირის მიწსახკომის და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. სესიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ლენინგრადის, მოსკოვის, თბილისის, ტაშკენტის, ირკუტსკის, კიევის, ლვოვისა და სხვა ქალაქების 200-მდე მეცნიერი მუშაკი.

საქდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს სსრ კავშირის მეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს უფროსმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ე. კ. ფედოროვმა განაცხადა:

—ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო მთავრობის დადგენილებით მოეწყო. მის ამოცანას წარმოადგენს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მრავალრიცხოვან სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა მუშაობის კოორდინირება. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და თავდაცვის სწრაფად მზარდი საჭიროებანი ჩვენი სპეციალისტებისაგან მოითხოვენ დაძაბულ მუშაობას რათა გააუმჯობესონ ამინდის პროგნოზის საშუალებანი, დაკვირვებისა და დამუშავების მეთოდები, რათა შეადგინონ კლიმატიური აღწერილობანი და ცნობები.

სესიაზე მოსმენილ იქნა ცენტრალურ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების დირექტორთა ანგარიშები იმ მუშაობის შედეგების შესახებ, რაც მათ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შეასრულეს ჰიდროლოგიის, მეტეოროლოგიისა და სინოპტიკის დარგში. ბევრი პრობლემის გადაჭრის მხრივ საბჭოთა კავშირი კაპიტალისტურ ქვეყნებს წინ უსწრებს, განსაკუთრებით დიდი ვადის ამინდის პროგნოზებისა და ჰიდროლოგიური რეჟიმის შესწავლის მხრივ. ფართოდ გავრცელდა საბჭოთა მეცნიერების მიერ დამზადებული სხვადასხვა ხელსაწყოები. ახალგაზრდა ლენინგრადელმა მეცნიერმა, პროფესორმა კიბელმა მსოფლიოში პირველმა დასახა მეტეოროლოგიის ერთერთი უძნელესი ამოცანის გადაჭრის — მოსალოდნელი ამინდის მათემატიკური გაანგარიშების გზები. ეს ნაშრომი წარდგენილია სტალინური პრემიის მისაღებად.

სესიამ განიხილა 1941 წლის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის გეგმა.

საბჭოთა ოპერისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენცია

11 დეკემბერს მოსკოვის აქტიორის სახლში გაიხსნა საბჭოთა ოპერისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენცია. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის, სსრ კავშირის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტისა და საკავშირო თეატრალური საზოგადოების მიერ მოწვეულ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად მთელი ჩვენი ქვეყნიდან შეიკრიბნენ გამოჩენილი კომპოზიტორები, ოპერის არტისტები, რეჟისორები, დირიჟორები, მუსიკალური კრიტიკოსები.

კონფერენცია გაიხსნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. მ. ბ. ხრაპჩენკოს შესავალი სიტყვით. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კონფერენციას, რომელმაც უნდა შეაჯამოს არა მარტო ყოველივე იმის შედეგები, რაც საბჭოთა კომპოზიტორებმა ოპერის დარგში გააკეთეს, არამედ უნდა დასახოს კიდეც საბჭოთა საოპერო ხელოვნების შემდგომი განვითარების გზები.

კონფერენციის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი რ. მ. გლიერი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ვ. ბარსოვა და უკრაინელი კომპოზიტორი კ. ფ. დანკევიჩი.

კონფერენცია 19 დეკემბრამდე გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში მისი მონაწილენი მთლიანად ან ნაწყვეტებად გაეცნობიან საბჭოთა კომპოზიტორების 20-ზე მეტ ოპერას. 11 დეკემბერს კონფერენციის მონაწილენი იყვნენ ვ. ნ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სახელმწიფო მუსიკალურ თეატრში, სადაც დაესწრნენ ხრენიკოვის ოპერას „ქარიშხალში“. (საქდესი).

ყინულით დაფარული უღელტეხილებით

ფრუნზე. ყირგიზეთში საზამთრო ტურიზმის სეზონი დაიწყო. პირველი სამთო ლაშქრობა მოაწყო ახალწვეულთა-სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ წევრთა ჯგუფმა. ხუთ დღეში ახალგაზრდა ალპინისტებმა ყირგიზეთის ალა-ტაუს მთებში 150 კილომეტრზე მეტი გაიარეს; მათ გადალახეს ყინულით დაფარული ხუთი უღელტეხილი, მათ შორის უღელტეხილიც, რომელიც ზღვის დონიდან 3.000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ორი დღე-ღამის განმავლობაში ალპინისტები ისე მიდიოდნენ, რომ წელამდე თოვლში იფლობოდნენ.

11 დეკემბერი (საქდესი).

საზეიმო სხდომა თბილისის კინოსტუდიაში

გუშინ, 12 დეკემბერს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ თბილისის კინოსტუდიაში ჩატარდა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კინემატოგრაფიის 20 წლისთავს. საზეიმო სხდომაზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ კინოსტუდიის მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები და შემოქმედი მუშაკები.

საზეიმო სხდომა გახსნა კინოსტუდიის ფაბკომის თავმჯდომარემ ამხ. გრ. ფუტკარაძემ, რის შემდეგ საბჭოთა კინემატოგრაფიის არსებობის 20 წლისთავის შესახებ სიტყვით გამოვიდა თბილისის კინოსტუდიის დირექტორი ამხ. არ. გიგოშვილი. შეჩერდა რა საბჭოთა კინოხელოვნების მიღწევებზე, რომელიც მოპოვებულია სახელოვანი 20 წლის მანძილზე, ამხ. გიგოშვილმა აღნიშნა ის დიდი ზრუნვა და დახმარება, რომელსაც იჩენენ კინოხელოვნებისადმი პარტია და საბჭოთა მთავრობა და პირადად ხალხთა ბელადი დიდი სტალინი.

საზეიმო სხდომის დასასრულს მოხდა ნიშნების „საბჭოთა კინემატოგრაფიის XX წლისთავი“ საზეიმო გადაცემა იმ მოწინავე ადამიანებისათვის, რომლებიც საბჭოთა კინემატოგრაფიის XX წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის მიერ. ნიშნები გადაეცათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ორდენოსან კინორეჟისორს ამხ. მიხეილ ჭიაურელს, საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობებს, ნ. ვაჩნაძეს, ვ. ანჯაფარიძეს, ც. წუწუნავას, ალ. ჟორჟოლიანს, მსახიობებს: ი. პერესტიანს, ს. ბაღაშვილს, რეჟისორებს: ს. დოლიძეს, ნ. შენგელაიას, კინოდრამატურგ გ. ცაგარელს, ოპერატორებს: ალ. დიღმელს, დავ. კანდელაკს, ალ. აჯიბეგაშვილს, ნ. ნაგორნის, მხატვრებს: მ. გოცირიძეს, შ. მამალაძეს, გრიმიორ ზ. ვახტანგიშვილს, კოსტუმერ ი. ელიაშვილს, ვ. თელიას და სხვ. თბილისის კინოსტუდიის ხაზით დაჯილდოებულია სულ 30 მოწინავე ადამიანი.

გამოვიყენოთ მექანიზმები, ფართოდ დავნერგოთ სემივოლოსის მეთოდით მუშაობა

(ჭიათურა, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

5 დეკემბერს ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა მარგანეცის მრეწველობაში მექანიზმების გამოყენების, გვირაბთა დაჩქარებული გაყვანისა და სემივოლოსის მეთოდით ბურღვის დანერგვის საკითხი.

გამოირკვა, რომ ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში მექანიზმების გამოყენებას საკმაო ყურადღება არ ექცევა, რასაც მარტო ის ფაქტი მოწმობს, რომ მომნგრევი ჩაქუჩებით მარგანეცის მონგრევის გეგმა ტრესტს 53,3 პროცენტით აქვს შესრულებული.

ლენინის სახელობის მაღარო (დირექტორი — მ. ქამუშაძე) 80 პროცენტით მექანიზებულია, მაგრამ მექანიზაციით მონგრევის გეგმა 60,2 პროცენტით აქვს შესრულებული, ტრესტისა და ამ მაღაროს ხელმძღვანელობის დაუდევრობის შედეგად კომპრესორი მთელი თვე უქმად იდგა.

კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში (დირექტორი — შ. ახვლედიანი) მექანიზაციის გატარების გეგმა მარგანეცის მონგრევის საქმეში მხოლოდ 20,7 პროცენტით სრულდება.

არცერთ მაღაროში არ სრულდება სკრეპერებით ლავებიდან მარგანეცის გამოზიდვის გეგმა. ტრესტის ყველა მაღაროში 9 თვის გეგმა საკომპრესორო მეურნეობის დანერგვის მხრივ შესრულებულია 51,1 პროცენტით.

მარგანტრესტის მომარაგების განყოფილება ვერ ამარაგებს მაღაროებს ჯალამბრებით, მოტორებით, კაბელებითა და მექანიზმების სხვა ნაწილებით.

მექანიზმების სრულად დატვირთვასა და გამოყენებას სერიოზული ყურადღება არ ექცეოდა, რასაც ცუდი შედეგი მოჰყვა. ხშირი ავარიების გამო მიმდინარე წლის 10 თვენახევრის განმავლობაში მოცდენილი საათების რიცხვი 890-ს აღწევს, საწარმოო დანაკარგები 11.045 ტონა მარგანეცს შეადგენს.

მექანიზაციის გატარებაში ჩამორჩენამ გამოიწვია სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა სემივოლოსის მუშაობის სტილის დანერგვის საქმეში.

სტალინის სახელობის მაღაროს მეშვიდე უბნის პირველ ცვლაში ექვსი სანგრევის ნაცვლად გახსნილია სამი. იმის ნაცვლად, რომ თვითეულ ამწმენდს ორი ან სამი სანგრევი ჰქონდეს, ერთ სანგრევზე რამდენიმე მუშაობს. სტახანოველი ამწმენდები: პ. ტყემალაძე, პ. წივილაშვილი, ალ. ღავთაძე და სხვები ყოველდღიურად 1-2 საათით ცდებიან და სტახანოვურ მაჩვენებლებსაც ვერ აღწევენ. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ბერიას, კაგანოვიჩისა და ლენინის სახელობის მაღაროებში.

მრავალ სანგრევზე მომუშავეთა მოძრაობამ უმეტესად ხმაურის ხასიათი მიიღო, მექანიზაციის გატარებისა და სემივოლოსის მუშაობის სტილის დანერგვის საქმეში მარგანტრესტის ტექნიკური განყოფილება არადამაკმაყოფილებლად მუშაობს.

საქალაქო კომიტეტის ბიურომ ამ სხდომაზე სათანადო ღონისძიებები დასახა.

ლენინის სახელობის მაღაროს მეხუთე უბანში მოეწყობა ორი სასკრეპერო დანადგარი, მეოთხე უბანში აღდგენილი იქნება № 119 ლავი, სადაც გაყელვა, მონგრევა და გამოზიდვა მექანიზაციით იწარმოებს.

სტალინის სახელობის მაღაროში დამატებით ამუშავდება ორი საყელავი მანქანა, № 82 ლავი მექანიზებული იქნება, იქ გვირაბის გაყვანა იწარმოებს თვეში 50 გრძივი მეტრის სიჩქარით.

კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში ამუშავდება საყელავი მანქანები და მიღწეული იქნება გვირაბის წინსვლა ყოველთვიურად 60 გრძივი მეტრის სიჩქარით.

დამიტროვის სახელობის მაღაროში დამატებით გაყვანილი იქნება შტრეკები და დაიწყება საცდელი მუშაობა ტრანსპორტიორის მუშაობის გამოსაყენებლად.

მაღაროების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ მექანიზაციის გატარებასთან ერთად სათავეში ჩაუდგნენ დიადი მოძრაობის — სემივოლოსის მეთოდით მუშაობის ფართოდ დანერგვას.

ლ. ლოლაძე

სავაგონო უბნის გამარჯვება

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის თბილისის განყოფილების მეხუთე სავაგონო უბნის კოლექტივი წარმატებით მუშაობს. მან უკვე გადაჭარბებით შეასრულა წლიური საწარმოო პროგრამა.

მესამე კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის უბნის კოლექტივმა ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო.

ამ გამარჯვებას უბნის კოლექტივმა მიაღწია შრომის დისციპლინის განმტკიცებით, სტახანოვური მოძრაობისა და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლით.

უბნის კოლექტივი სიტყვას იძლევა, რომ გარდამავალ დროშას ბოლომდე შეინარჩუნებს.

ივ. მჭედლიშვილი

დამატებით იძლევიან 700 ათას ქილა კონსერვს

ქუთაისი, 12 დეკემბერი (ტელეგრაფით „კომუნისტის“ კორ.). ქუთაისის მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანამ 12 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური დავალება; 13.530 ათასი პირობითი ქილა კონსერვის ნაცვლად, ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა 13.560 ათასი ქილა, — გეგმის 100,2 პროცენტი.

ქარხნის მთელი კოლექტივი სიტყვას იძლევა, რომ წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვებს 700 ათას ქილა კონსერვს.

გ. ყურაშვილი

დაიხურა სრულიად-საკავშირო თათბირი მეაბრეშუმეობის საკითხებზე

7 დღის მუშაობის შემდეგ დაიხურა სრულიად-საკავშირო თათბირი მეაბრეშუმეობის საკითხებზე, რაც მოწვეული იყო სსრკ მიწსახკომისა და ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად-საკავშირო აკადემიის მიერ.

თათბირში მონაწილეობას იღებდა **130-ზე** მეტი კაცი. თათბირის მუშაობის განმავლობაში მოსმენილ იქნა 32 მოხსენება.

მეაბრეშუმეობის ინსტიტუტებისა და სადგურების მეცნიერული მუშაობის, აგრეთვე მეაბრეშუმე სტახანოველთა განზოგადოებული გამოცდილების საფუძველზე შემუშავებულ იქნა ახალი ინსტრუქციები სელექციისათვის და ხარისხისა და ჯიშის გამოცდის დარგში. საბჭოთა კავშირის მეაბრეშუმეობის თვითეული რაიონის თავისებურებათა გათვალისწინებით, დეტალურად იქნა დამუშავებული თუთისხისა და მუხის აბრეშუმის ჭიისათვის საკვები ბაზის განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებანი.

თათბირმა თვითეული სამეცნიერო დაწესებულების, მეაბრეშუმეობის თვითეული მეცნიერი მუშაკის წინაშე 1941 წლისათვის ძირითად ამოცანად დასახა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი აბრეშუმის ჭიის ინდივიდუალური გამოკვებიდან განსაზოგადოებულ გამოკვებაზე გადასვლას. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მეაბრეშუმეობის პროცესების მექანიზაციას. (საქდესი).

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ზოოლოგიური სექტორი

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად, ზოოლოგიური სექტორიც შედის.

1935 წელს ამ სექტორის მეცნიერული კადრი მხოლოდ 5 თანამშრომლისაგან შესდგებოდა, ამჟამად კი აქ საკმაოდ კვალიფიციურ მეცნიერ მუშაკთა რაოდენობამ 15-ს მიაღწია (ამ რაოდენობაში არ შედიან ხელშეკრულებით მომუშავენი).

მოკლე ხანში სექტორმა გამოსცა თავისი მეცნიერული შრომების I და II ტომი. უახლოეს დროში გამოიცემა აგრეთვე მესამე და მეოთხე ტომება. გამზადებულია დასაბეჭდად „საქართველოს ფაუნის“ I ტომი (საქართველოს მტკნარი წყლების თევზების შესახებ) ქართულ და რუსულ ენებზე. „საქართველოს ფაუნა“ გამოიცემა 8 ტომად. გარდა ამისა, სექტორის მიერ შედგენილია 5 მეცნიერულ-პოპულარული სერიის წიგნი სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, რაც უახლოეს დროში დაიბეჭდება.

ზოოლოგიური სექტორის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ფაუნის სახეთა დადგენას, ძირითადი სამეურნეო მნიშვნელობის ჯგუფების შესწავლასა და საერთოდ არსებული ფაუნის ინვენტარიზაციას. ეს გასაგებიც არის, რადგან უკანასკნელ დრომდე საქართველოს ფაუნის გამოკვლევას მხოლოდ თითოოროლა ე. წ. „ბუნებისმოყვარულები“ ახდენდნენ. წელს ჩვენი მეცნიერ მუშაკები იკვლევდნენ: ჩლიქოსნებს, ფრინველებს, თრიფსებს, ნახევრად ხეშეშფრთიანებს და ხეშეშფრთიანების ზოგიერთ ოჯახს.

სექტორი მესამე წელია აწარმოებს კოლხიდის დაბლობის ბიოცენოზების შესწავლას, ჭაობების ამოშრობასა და ამ ფართობის სას. სამ. კულტურებით ათვისებასთან დაკავშირებით. ჩატარებულმა გამოკვლევებმა უკვე მოგვცეს ნათელი სურათი იმ უდიდესი ცვლილებისა, რომელიც მოხდება კოლხიდაში ჭაობის ამოშრობის შედეგად.

ზოოლოგიური სექტორის ჰიდრობიოლოგიის განყოფილების კვლევის საკითხთა შორის თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მტკვრის სამრეწველო თევზთა საკვები ბაზის გამორკვევა. ასევე მნიშვნელოვანია შავი ზღვის მეთევზეობის შესწავლა, რომელსაც სექტორი აწარმოებს.

გარდა ამისა, სექტორი ორი წელია იკვლევს ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიც არის საქართველოს ტუნგოს ნარგავების მავნებლების საკითხი და სხვ.

დ. კობახიძე

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ზოოსექტორის სწავლული მდივანი.

ტრაქტორების საზამთრო რემონტი თვითდინებაზეა მინდობილი

(თელავი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

თელავის მტს-მა (დირექტორი ამხ. ი. მახარობლიძე) მიმდინარე წლის ბოლომდე კაპიტალურად უნდა შეაკეთოს 6 ტრაქტორი, მიმდინარე რემონტი კი გაუკეთოს 13 ტრაქტორს. მაგრამ 11 დეკემბრისათვის არცერთი ტრაქტორი არ გამოუშვიათ რემონტიდან.

მტს-ის სახელოსნოში კარგახანია კაპიტალური რემონტისათვის დაშლილია „სტზ“ მარკის ორი ტრაქტორი. აქვე სამ თვეზე მეტია „ჩტზ“ მარკის დაშლილი ერთი ტრაქტორი, მაგრამ სათადარიგო ნაწილების საკმაო რაოდენობით უქონლობის გამო მათი გამოშვება ვერ მოუხერხებიათ.

სახელოსნოში ტრაქტორების მიმდინარე რემონტის ჩატარებასაც აჭიანურებენ.

თელავის მტს-ის სამარცხვინო ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ იგი დროზე არ მოემზადა რემონტისათვის. სახელოსნოში დაზგები და დანადგარები გამართულია. მაგრამ სახელოსნო დაკომპლექტებული არ არის საჭირო კვალიფიციური კადრებით: აკლიათ ორი მჭედელი, აგრეთვე ელექტროშემდუღებელი და ნორმადარი. მტს-ის დირექციამ ანგარიში არ გაუწია ტრაქტორების შემოდგომაზამთრის რემონტის დროზე ჩატარების აუცილებლობას და გახურებული მუშაობის დრო ინჟინერ-მექანიკოსი ამხ. ბელინსკი შვებულებაში გაუშვა.

მტს-ის სახელოსნოში რემონტისათვის არ მოიპოვება ხარისხოვანი რკინა, ბაბიტი, კალა და სხვ. საკმარისი რაოდენობით არ არის აგრეთვე ხელსაწყო-იარაღები. აქ დღემდე არ მოუტანიათ შუშა, ჩამტვრეულია ფანჯრები და კარები. მტს-ს დაწყებული აქვს მეორე სარემონტო ფარდულის მომზადება, მაგრამ მომუშავენი საერთო საცხოვრებლით ვერ უზრუნველჰყო. ამიტომ მშენებლობა ჭიანურდება. ტრაქტორისტებს კი ყოველდღიურად 7-8 კილომეტრი მანძილიდან უხდებათ სამუშაოზე მოსვლა.

ტრაქტორისტებს საქვაჭრობის თელავის განყოფილებაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მას დღემდე არ გაუხსნია სასადილო სარემონტო სახელოსნოსთან.

მტს-ი ვერ ასრულებს კოლმეურნეობებთან დადებულ საწარმოო ხელშეკრულებებს. 1 დეკემბრისათვის მტს-ს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.346 ჰექტარისა, მოხნული ჰქონდა 3.129 ჰექტარი, პლანტაჟი კი, ნაცვლად 280 ჰექტარისა, მომზადებულია 228 ჰექტარზე (ეს გეგმა მტს-ს აგვისტოში უნდა შეესრულებინა). ხელშეკრულების მიხედვით, მტს-ს კოლმეურნეობისათვის მზრალად უნდა მოეხნა 1.039 ჰექტარი, მაგრამ მოხნულია მხოლოდ 278 ჰექტარი.

ასევე ვერ შეასრულა მტს-მა ხნულის ფარცხვის საშემოდგომო გეგმა.

მოყვანილი ფაქტებიც ნათლად მოწმობენ, რომ მტს-ში ყველაფერი რიგზე არ არის, აქ ადგილი აქვს უდარდელობას და უპასუხისმგებლობას.

საქ. მიწსახკომმა და თელავის პარტრაიკომმა უნდა მიიღონ სასწრაფო ზომები არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ქ. აფხაზავა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„საქართველოს ხილი“

საქართველოს კულტურული ფლორის ატლასი, I ტომი

პროფ. ნ. ხომეზურიშვილი და ელ. ერისთავი. ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფ. ნ. კეცხოველის წინასიტყვაობითა და რედაქციით, „ტექნიკა და შრომას“ გამოცემა

საქართველოში მეხილეობას ძველთაგანვე მისდევდნენ, მაგრამ მისი აღორძინება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი. საქართველოში სამრეწველო მეხილეობას მტკიცე საძირკველი აქვს ჩაყრილი.

საქართველოს ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები ფართო შესაძლებლობას იძლევა სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგის — მეხილეობის ყოველმხრივ განვითარებისათვის. ამ საქმის უფრო ფართოდ განვითარების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს საქართველოს კულტურული ფლორის ადგილობრივი ჯიშების მეცნიერულად შესწავლა, გამოვლინება. ეს დიდად შეუწყობს ხელს ხეხილის ახალი ჯიშებისა და სახეების გამოყვანას, მეხილეობაში მიჩურინული მეთოდის მტკიცედ დანერგვას.

საქართველო ცნობილია ხილის ისეთი ადგილობრივი ჯიშებით, რომელთაც სამრეწველო ხასიათი აქვთ და სამეურნეო თვისებებით ევროპულ საუკეთესო ჯიშებს არ ჩამოუვარდებიან. ადგილობრივი ჯიშების გამოვლინებას, მათ შესწავლას, ამ ჯიშების დარაიონებაგანლაგებას აქვს არა მარტო პრაქტიკული, არამედ თეორიული მნიშვნელობაც.

ამ მხრივ უსათუოდ მისასალმებელია საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიერ გადადგმული ნაბიჯი — „საქართველოს კულტურული ფლორის ატლასის“ გამოცემა, რომელშიც შევა: პირველი და მეორე ტომი — კონტინენტური მეხილეობა, მესამე და მეოთხე ტომი — სუბტროპიკები, მეხუთე და მეექვსე — მინდვრის კულტურები, მეშვიდე და მერვე —ამპელოგრაფია, მეცხრე — მებოსტნეობა, მეათე — კაკლოვანები.

„საქართველოს კულტურული ფლორის ატლასს“ საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივი უძღვნის საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის გამარჯვებათა ორგანიზატორს, ერთგულ სტალინელს, საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

ინსტიტუტის მიერ გამოცემულია საქართველოს კულტურული ფლორის ატლასის პირველი ტომი „საქართველოს ხილის“ სახელწოდებით, რომლის მიზანია ფართოდ გააცნოს საქართველოს მშრომელთ ხილის ადგილობრივი ჯიშები. ატლასის პირველი ტომი შედგენილია საქმის ცოდნითა და სიყვარულით. იგი საინტერესოდ არის გამოცემული. მკითხველის ყურადღებას იპყრობს ატლასის მხატვრული გაფორმება. მასში მოცემულია თვითეული ჯიშის ფერადი ილუსტრირება. ფერადი ილუსტრაცია კარგად არის შესრულებული თრდატ ნალბანდიანის მიერ. ატლასი დაიბეჭდა სახელგამის ცინკოგრაფიაში, სადაც მზრუნველობით მოეპყრობიან ამ საქმეს.

ატლასის ავტორებს პროფ. ნ. ხომეზურიშვილს და ელ. ერისთავს და რედაქტორს პროფ. ნ. კეცხოველს სერიოზული მუშაობა გაუწევიათ. ავტორებს მოხერხებულად აქვთ გამოყენებული ის მასალა, რომელიც საქ. საცდელი სადგურის ჯიშთამცოდნეობისა და სელექციის განყოფილებამ 1931-35 წ. და საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კონტინენტური მეხილეობის კათედრამ 1937-38 წლების განმავლობაში შეაგროვეს.

ატლასის პირველ ტომში მოცემულია თესლოვანი კულტურების (ვაშლი და მსხალი) და კურკოვანი კულტურების (ატამი, ბალი, ალუბალი და ქლიავი) დახასიათება. ამით ინსტიტუტის კოლექტივმა უსათუოდ კარგი საქმე გააკეთა, მით უმეტეს, რომ ხეხილის ჯიშების მეცნიერული, საფუძვლიანი შესწავლა მტკიცე ნიადაგს უქმნის საქართველოში მაღალხარისხოვანი სამრეწველო ჯიშების შემუშავებას. ამ თვალსაზრისით „საქართველოს კულტურული ფლორის ატლასის“ გამოცემას ფრიად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება. ატლასის პირველ ტომში მოყვანილი ხეხილის ჯიშების დახასიათება მოცემულია როგორც ქართულ, ისე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა „საქართველოს ხილის სამრეწველო ასორტიმენტის ატლასის“ მეორე ტომი. მზად არის დასაბეჭდად სუბტროპიკული კულტურების პირველი წიგნი და მინდვრის კულტურების პირველი წიგნი. მომზადებულია დასაბეჭდად პური კულტურებიც.

უნდა ველოდოთ, რომ ატლასის დანარჩენი ტომებიც ისეთივე მზრუნველობით და ფაქიზად იქნება შესრულებული, როგორც პირველი ტომი.

თ. კუნჭულია

„რუსული პოეზიის ანთოლოგია“

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქართულ ენაზე „რუსული პოეზიის ანთოლოგიის“ გამოცემის გეგმა.

ანთოლოგია ორ ტომად გამოვა. პირველ ტომში შევა ლომონოსოვის, დერჟავინის, ჟუკოვსკის, კრილოვის, რილეევის, პუშკინის, ლერმონტოვისა და სხვა პოეტების ცალკეული ნაწარმოებნი, აგრეთვე ხალხური შემოქმედების ნიმუშები. მეორე ტომში მოთავსებული იქნება ნეკრასოვის, ნიკიტინის, ტიუტჩევის, ნადსონის, ბალმონტის, მაიაკოვსკის, ესენინისა და ბაგრიცკის ცალკეული ნაწარმოებნი. ფართოდ იქნება წარმოდგენილი თანამედროვე საბჭოთა მწერლების — ლებედევ-კუმაჩის, ბეზიმენსკის, სელვინსკის, ჟაროვის, საიანოვის, ინბერის, პასტერნაკის, კირსანოვის, ასეევისა და სხვათა პოეზია. მეორე ტომში მოთავსებული იქნება მწერლების მოკლე ბიოგრაფიებიც. (საქდესი).

ბესო ჟღენტი

ლიტერატურული ახალგაზრდობის აღზრდისათვის

ხალხის წიაღიდან გამოსული ახალი შემოქმედებითი ძალების აღზრდა ჩვენი სამწერლო საზოგადოებრიობისა და სალიტერატურო-საგამომცემლო ორგანიზაციების ერთერთ უმნიშვნელოვანეს დანიშნულებას და მოწოდებას წარმოადგენს. ყოველმხრივ ხელი უნდა შევუწყოთ ლიტერატურული ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მის მიერ კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციათა დაუფლებასა და ათვისებას. ლიტერატურული ახალგაზრდობა არა მარტო რეზერვი და ცვლა არის თანამედროვე მწერლობისათვის, არამედ ის ძალაა, რომელიც მოწოდებულია განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს ჩვენი ლიტერატურა, უფრო ღრმად დაამკვიდროს მასში კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის თემატიკა, საბჭოთა ხალხის დიადი საბრძოლო მიზნები და იდეები.

დიდი სტალინის გენიალური მითითება კადრებისადმი განსაკუთრებული სიყვარულითა და მზრუნველობით მოპყრობის შესახებ მთლიანად შეეხება მწერლობის ფრონტსაც. პარტია ყოველთვის ამახვილებდა და ამახვილებს საბჭოთა მწერლობის ყურადღებას ამ უმნიშვნელოვანეს და პირველხარისხოვან ამოცანაზე. საქართველოს ბოლშევიკების XIII ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი ამბობდა: „საბჭოთა მწერლების კავშირმა უნდა მოაწყოს ლიტერატურული ახალგაზრდობის სისტემატური სწავლება, დაეხმაროს მას თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებასა და ლიტერატურული ოსტატობის დაუფლებაში“.

ჩვენ გვყავს ნიჭიერი და ღრმა შემოქმედებითი პოტენციის ლიტერატურული ახალგაზრდობა. შეიძლება ითქვას, რომ მისი რიგები ყოველდღიურად მდიდრდება ახალი და ახალი ძალებით. ბევრი მათგანი მწერლობაში ფეხის შემოდგმისთანავე იმსახურებს ყურადღებას და სწრაფად ეუფლება ლექსისა და მხატვრული პროზის თანამედროვე კულტურას და ოსტატობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ არის დაყენებული ლიტერატურული ახალგაზრდობის იდეურ-შემოქმედებითი აღზრდის საქმე.

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი სამწერლო და საგამომცემლო ორგანიზაციები საერთოდ მზრუნველობისა და ყურადღების გარეშე სტოვებდნენ ახალგაზრდა მწერლობას. პირიქით, ზოგჯერ ეს მზრუნველობა გადაჭარბებულიც არის, მაგრამ იგი ცალმხრივია და არასწორად მიმართული.

მაგალითად, ახალგაზრდა მწერლისათვის მეტად გაიოლებულია მწერალთა ორგანიზაციაში მიღება, დასრულებულ, პროფესიონალ მწერლად აღიარება, საკუთარი ლექსების წიგნების გამოცემა (რომლებშიც ხშირად მოუმწიფებელი და დაუმუშავებელი ნაწარმოებები გვხვდება), ე. წ. „შემოქმედებითი მივლინებანი“ და სხვ. მწერალთა სასახლეში ზოგჯერ ამათუიმ ახალგაზრდა პოეტის ცალკე შემოქმედებითი საღამოებიც იმართება, რომლებზეც ჩვეულებრივ უხვად იხარჯება სახოტბო და ქება-დიდების სიტყვები ახალგაზრდა ავტორის მიმართ.

მაგრამ ამ ღონისძიებებს ზიანის მოტანა შეუძლია ლიტერატურული ახალგაზრდობისათვის (მასში ნაადრევი პროფესიონალიზაციისა და ფუჭი თვითკმაყოფილების განწყობილებათა დანერგვა), თუ ამასთანავე მოგვარებული არ იქნა ახალგაზრდა მწერლების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და მათთვის სისტემატური შემოქმედებითი დახმარების საქმე.

სწორედ საკითხის ამ მხარეს ექცევა ყველაზე ნაკლები და სრულიად არასაკმარისი ყურადღება. არც მწერალთა კავშირში, არც სალიტერატურო ორგანოების რედაქციებთან არ ხორციელდება არავითარი ღონისძიება ლიტერატურული ახალგაზრდობის სისტემატური ხელმძღვანელობისა, მისი აღზრდისა და სწავლების თვალსაზრისით.

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ახალგაზრდა მწერლები ხშირად ჰკარგავენ სწორ იდეურ-შემოქმედებითს ორიენტაციას და ექცევიან სოციალისტური ლიტერატურისათვის უცხო და მიუღებელ, ანტირეალისტურ, დეკადენტურ ლიტერატურულ ტრადიციათა გავლენის ქვეშ.

ამ გარემოების მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს ჟურნალ „ჩვენს თაობაში“ მოთავსებული შემოქმედებითი პროდუქცია ახალგაზრდა მწერლებისა.

საკმარისია გადავხედოთ ხსენებული ჟურნალის მიმდინარე წლის გამოსულ ნომრებს, რომ თვალწინ გადაგვეშალოს მეტად დამაფიქრებელი სურათი. ახალგაზრდა მწერლების მიერ ამ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების დიდი უმრავლესობა დაშორებულია ჩვენი სოციალისტური თანამედროვეობის თემატიკას, ჩვენი დროის აქტუალურ პრობლემებს და განსაზღვრულია ვიწრო პირადულ-ინტიმური განცდებით და გრძნობებით, ისტორიზმით, ან სინამდვილის წვრილმანი და უმნიშვნელო მოვლენებით.

ჟურნალის წლევანდელ ნომრებში მოთავსებულია ახალგაზრდა მწერლების ხუთი ნაწარმოები მხატვრული პროზის დარგში. არცერთი მათგანი არ გვიხატავს ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის დადებით ტიპს, არ გვაძლევს არცერთ ეპიზოდს ან სურათს, რომელიც ასახავდეს ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ძირითად პროცესებს. ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

გივი კაჭახიძის ნოველა „ღმერთი ღუმელში“ („ჩვენი თაობა“ 1940 წ. № 1) მოგვითხრობს ვიღაც მოხუც მასწავლებელზე, რომელსაც ბავშობიდან შეუსისხლხორცებია რელიგიური ცრუმორწმუნეობა, რომლის მთელი არსება შეპყრობილია რაღაც უცნაური, მისტიკური შიშით „ღმერთხატის“ წინაშე.

„ზის მოხუცი მასწავლებელი საწერ მაგიდის გვერდით დივანზე და ოდნავის შიშით მისჩერებია მჭვარტლით დამტვერილ ხატს. შესცქერის ნათელით მოსილ სახეს ღვთაებისას და თანდათან იძირება მოგონებებში, თუ სინამდვილეში“.

ამ უცნაური მოხუცის რელიგიურ-მისტიკური განცდანი წარმოადგენენ მოთხრობის შინაარსს. აი როგორი „გმირი“ იზიდავს ჩვენი დროის ამ ახალგაზრდა მწერლის ყურადღებას.

კიდევ უფრო შორს წასულა ჟურნალის ამავე ნომერში მოთავსებული მეორე მოთხრობის „აზნაურის“ ავტორი — ახალგაზრდა მწერალი კლავდია დევდარიანი. მისი მოთხრობის გმირებს აზნაურობის „მაძიებელი“ ისიდორე არჯევანიძე და წვრილფეხა აზნაური სპირიდონ კიკნაძე წარმოადგენენ. აი, ისიდორემ თითქოს მიაღწია სასურველ მიზანს, მოიპოვა აზნაურობა, მაგრამ... სწორედ ამ დროს რევოლუციამ მოუსწრო და ოთხი წლის წანწალმა და ქაჯანწყვეტამ ამაოდ ჩაუარა.

რა ორიგინალური თემისათვის მიუგნია ახალგაზრდა ავტორს! რა ღრმა და აქტუალური იდეის განსახიერებისათვის მოუნდომებია მას თავისი ნიჭი და ენერგია!

მხატვრული პროზის დარგში მომუშავე ახალგაზრდა მწერალთა შორის ლადო ბალიაური განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე კარგი მოთხრობა ფშავ-ხევსურეთის განახლებული ცხოვრების თემებზე. და აი ამ უდავოდ ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალსაც განუზრახავს ხარკი მისცეს ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობაში გავრცელებულ თემატიურ განყენებულობას და ვიწროდ გაგებულ ისტორიზმს.

„ჩვენი თაობის“ № 2 და № 3-ში დაბეჭდილია მისი მოთხრობა „ნანგრევთა შორის“, აგებული თმოგვის ციხის შესახებ არსებულ ცნობილ ლეგენდაზე.

ბუნებრივია, ახალგაზრდა ავტორს არ ეყო ძალა იმისათვის, რომ გაეცოცხლებინა და ჩვენი დროის ადამიანის სულისკვეთებასთან დაეახლოვებინა შორეული წარსულის ლეგენდარული პერსონაჟები და სიტუაციები. ამ მოთხრობის მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მის მაგალითზე ახალგაზრდა მწერლებს შეუძლიათ აშკარად დაინახონ, თუ რამდენად უსაფუძვლო და ყალბია მოსაზრება, თითქოს თემატურად ჩვენი ეპოქისაგან დაშორებული მასალა უფრო ადვილი დასაძლევი და „მომგებიანი“ იყოს თანამედროვე მწერლისათვის.

ახალგაზრდა ბელეტრისტი ვ. ავალიანი ნოველაში „ჩალის ქუდი“ გვიხატავს მოლარის—ბიკენტი ლატარიას უცნაურ განცდებს, გამოწვეულს იმ გარემოებით, რომ მის ობლიგაციას მოგება ხვდა წილად.

რაღაც ცხოველურ ინსტინქტს დაუპყრია მისი არსება — გამდიდრების სიხარული და მოლოდინის გაუმართლებლობის შიშია გაერთიანებული ამ ინსტინქტში. ნუთუ ფულის ძალის წინაშე ასეთი თრთოლვა და ცახცახი დამახასიათებელია ჩვენი დროის ადამიანებისა?

„ჩვენი თაობის“ უკანასკნელ ნომრებში იბეჭდება კოტე ხიმშიაშვილის რომანი „ჯონქა ხორნაული“. რომანის თემა ჩვენი ახალგაზრდობის, საბჭოთა სტუდენტების ცხოვრებაა. ეს რომანი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გამოქვეყნებული და მის შესახებ საბოლოო აზრის შემუშავება ჯერჯერობით შეუძლებელია, მაგრამ ჟურნალის ოთხ ნომერში ავტორი დიდის გულმოდგინებით გვიხატავს ფუქსავატური დროსტარების, „ფანტის“, ფოქსტროტის, ლოთობის, ქეიფის, ხვევნა-კოცნის, მსუბუქი ყოფაქცევის ამსახველ სურათებს და ჯერჯერობით არცერთი შტრიხითაც არ გვაძლევს ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობის შემოქმედებითი შრომისა და ზრდა-წარმატების გამოხატულებას.

რომანის გამოქვეყნებული თავები გადატვირთულია ფუჭი რეზონიორული მსჯელობებით გვარიშვილობაზე, წაწლობაზე, „მწყემსის ოდენა ბუზებზე“, აზიურ ფეხსადგილებზე და ა. შ. და მთელს ამ უხვ დიალოგებში ჯერჯერობით არ ისმის ჩვენი დროის ახალგაზრდა კაცის დამახასიათებელი სალი აზრით აღბეჭდილი სიტყვა. რომანის სიტყვიერი მასალა კი დატვირთულია ვულგარული, ანტიესთეტიკური გამოთქმებით.

რაც შეეხება ჟურნალში მოთავსებულ პოეტურ პროდუქციას, ამ დარგშიც მეტად სერიოზულ საშიშროებას ვამჩნევთ. საერთოდ ახალგაზრდა ავტორებს ლექსის ტექნიკის მხრივ მართალია წინსვლა ეტყობათ და ისინი უეჭველად მხატვრულ ნიჭიერებასაც იჩენენ, მაგრამ ლექსების დიდი უმრავლესობა თემატურად და იდეურად ვერ უპასუხებს საბჭოთა პოეზიის სოციალისტური ლირიკის დანიშნულებას.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ახალგაზრდა პოეტის ლადო ასათიანის ლექსი „ანდერძი“ (ციკლიდან „ძველი ალბომიდან“ (საკითხავია, როდის მოასწრო ახალგაზრდა პოეტის ალბომმა დაძველება და რა ეჩქარება მას ანდერძების წერა?) თავისი მიჯნურისადმი ასეთი მიმართვით იწყება:

„რა დამავიწყებს შენს ლამაზ
თვალებს,—
რამ დამავიწყოს ეს ალუბლები,
იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ,
ამ სიყვარულზე ვესაუბრები“.

ახალგაზრდა კაცი ლექსით სიყვარულს ეფიცება ერთს და უკვე წინასწარ იცის, რომ მომავალში „სხვას შეიყვარებს“ და უამბობს ამ სხვას, თუ „როგორც უყვარდათ ძველად“ მათ „ტრფიალება წრეს გადასული“, როგორი გული უყვარდათ „ფიროსმანი და თბილისის ღამე“ და „მარტოობის მკაცრი სიამე“.

„ვეტყვი რა მწვავდა უშიშარს
დავრიშს,
მაღალ მთებს რისთვის გამოვექეცი,
როგორ გაგანდე, ძვირფასო, ჯავრი
და კაცი ლექსად როგორ ვიქეცი“.

გასაგებია, რომ აქ გამოხატული განწყობილება არავითარ შემთხვევაში არ არის ტიპიური და დამახასიათებელი ჩვენი დროის ახალგაზრდა ადამიანის სულისკვეთებისა, რომ ამ სტრიქონების ავტორი დეკადენტური პოეზიის გადანაშთებს იმეორებს. ლადო ასათიანის ლექსების ციკლს „ძველი ალბომიდან“ მოსდევს მირზა გელოვანის ლექსების ციკლი „უბის წიგნიდან“ („ჩვენი თაობა“ № 1) ამ ციკლის ლექსში „ლადო გუდიაშვილს“ ახალგაზრდა პოეტი გადმოგვცემს ლადო გუდიაშვილის ნახატის ჩარჩოში მომწყვდეული კინტოების სულიერ დრამას, მათს წუხილსა და ჩივილს. ლექსის თემატური არააქტუალობისა და უმნიშვნელობის გარდა აქ ხატვის ანტირეალისტურ მანერასთანაც გვაქვს საქმე. აი როგორ ხატავს პოეტი თბილისის ღამის პეიზაჟს:

„შუაღამისას ადგება ქარი,
რომ ცას შეუდგას შავი სვეტები,
შუაღამისას ადგება ქარი,
და ისევ თავი გამიმეტება,
ადგება, როგორც თეთრი ირემი,
ჩემი ოცნების ჩუმი წვალება
და ულმობლო ცის ნაპირები
შესთავაზებენ მთებს მოკრძალებას“.

და ამას მოსდევს ახალგაზრდა პოეტის ალეკო შენგელიას ლექსების ციკლი „სიყვარული“, სადაც ეს მარადიული თემა პოეზიისა გადმოცემულია ასეთი ტრაფარეტული ვარიაციით:

„ო, სადა ხარ, შემიბრალე,
დამილამდა თვალები,
მიდის ღამე, მიდის და მე
არვის არ ვებრალები.
ერთი მშვიდათ დაეძინათ,
დაისვენათ ამ თვალებს
ღამემ შიში რომ შემძინა,
ათი ღამე დავთვალე“.

რაღაც გაუგებარი, განწირულებისა და უიმედობის მოტივი გაისმის ახალგაზრდა პოეტების ლექსებში.

„მე ასე მინდა, სიკვდილის დღემდე
ხატი პატარა გუდით ვატარო,
სამშობლოსათვის თუ დამიბნელდეს,
მიინაბონ და მიკელაპტარონ“,

სწერს ახალგაზრდა პოეტი ალ. საჯაია ლექსში „ორი და“ („ჩვენი თაობა“ № 2), ხოლო რევაზ მარგიანი „ბუხართან თქმული“ ლექსების ციკლს („ჩ. თ“. № 3) ასე ამთავრებს:

„მესმა მორცხვობა და სინანული,
მე კი სიმწარით მეღიმებოდა,
როგორ ქრებოდა ის სიყვარული
ო, იმ ფიფქივით როგორ დნებოდა“.

ახალგაზრდა პოეტი გრიგოლ იმედაძეც მწერლობაში ფეხის შემოდგმისთანავე გვამცნობს, „მე ლერწამი ვარ, ფშანში მოჭრილი“.

შეიძლებოდა მაგალითების კიდევ მრავლად მოყვანა, მაგრამ დასახელებული ფაქტებიდანაც ცხადად ჩანს, რომ ჟურნალში გამომზეურებული პოეტური პროდუქციის უდიდესი ნაწილი ვერ გამოხატავს ჩვენი დროის ახალგაზრდობის ხალისიან, მებრძოლ და რწმენით შთაგონებულ განწყობილებას, ვერ ეხმაურება ჩვენი დროის დიად მოვლენებს და აქტუალურ პრობლემებს. უეჭველია, რომ ამ ახალგაზრდობას აღებული აქვს არასწორი ორიენტაცია ანტირეალისტური, ლიტერატურული სკოლების ტრადიციებზე, ფორმალიზმისა და ესთეტიზმის პოზიციებზე.

ჟურნალს აქვს კრიტიკული განყოფილება, მაგრამ თანამედროვე ლიტერატურის პრობლემები ჟურნალში იშვიათად შუქდება. საჭირო და აუცილებელია კლასიკურ მემკვიდრეობაზე წერა. მაგრამ კლასიკური მწერლობის შესწავლა-გაშუქება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს საბჭოთა ლიტერატურის აქტუალური პრობლემების ხარჯზე.

ლიტერატურული ახალგაზრდობის იდეურ-შემოქმედებითი აღზრდის საქმეში ძირეული გარდატეხა უნდა იქნას მიღწეული. რაც უფრო ჩქარა იქნება ეს, მით უკეთესი.

◆

პარტიული ცხოვრება

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი

(საინფორმაციო ცნობა)

1940 წლის 10-11 დეკემბერს შესდგა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმი.

პლენუმმა განიხილა 3 საკითხი:

1. „საქართველოს სსრ ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ", სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების განხორციელებისათვის საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობაზე.

2. „კომკავშირული აქტივის ფიზიკური მომზადების შესახებ" საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 30 სექტემბრის დადგენილების შესრულების მდგომარეობაზე.

3. კომკავშირლებსა და ახალგაზრდობაში საბჭოთა საქართველოს XX წლისთავის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ (საქ. ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტისა და ლუქსემბურგის რაიონული კომიტეტის მოხსენებები).

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ბირკაძე.

ამხ. ბირკაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის რაიკომების მდივნებმა: კობიძემ (კასპი), ცქრიალაძემ (წითელწყარო), როველიაშვილმა (გორი), ჩიტიაშვილმა (ხაშური), თუთისანმა (ქარელი), სოლოღაშვილმა (მცხეთა), ხილაშვილმა (ქედა), მწითურმა (დუშეთი), ზინდრიშვილმა (თბილისის რაიკომი) და წულაიამ (საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი).

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ალ. მირცხულავა.

ამხ. მირცხულავას მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის რაიკომების მდივნებმა: მიქელაშვილმა (მახარაძე), ტ. გრიგოლიამ (ზუგდიდი), ერიცანმა (ახალქალაქი), ფოფხაძემ (თბილისი), ქარიმოვმა (ბორჩალო), გრიგოლაშვილმა (საგარეჯო), ბებიამ (ოჩამჩირე), უნგიაძემ (ბათუმის რაიონი), ჭკადუამ (ზემო-სვანეთი), დოლიძემ (ლანჩხუთი), იაშვილმა (ქუთაისის რაიონი), ზაზაევმა (ადიგენი), სიჭინავამ (ჩხოროწყუ), ვალიევმა (ახალციხე), თ. სხირტლაძემ (ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე), გ. ცქიტიშვილმა (საქ. ალკკ თბილისის კომიტეტი) და პ. დანილევიჩმა (საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამხედრო-ფიზკულტურული განყ. გამგე).

კამათის დასასრულ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ალ. მირცხულავამ.

მესამე საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქ. ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. თოდაძისა და საქ. ალკკ ლუქსემბურგის რაიკომის მდივნის ამხ. აშიროვის მოხსენებანი.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ: ჭითინავა (საქ. ალკკ ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი), რაიკომების მდივნები: გეგელია (გეგეჭკორი), დოლონაძე (ტყიბული), ხარაძე (ლაგოდეხი), მახარაძე (ხულო), თურმანიძე (ჩოხატაური), გონაშვილი (სიღნაღი), აგრეთვე ამხანაგები ლაბარტყავა (ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს განყ. პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწე კომკავშირის ხაზით), პეტრიაშვილი (თბილისი, კომკავშირის ლენინის რაიკომი), გელოვანი (საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი) და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში — ამხ. გ. იმნაიშვილი.

პლენუმმა სამივე განხილული საკითხის გარშემო მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

პლენუმმა ამხ. გ. სიმონოვი გაათავისუფლა გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის" პასუხისმგებელი რედაქტორის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო. გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის" პასუხისმგებელ რედაქტორად დამტკიცებულ იქნა ამხ ბ. შატბეროვი.

დადგენილებათა შესრულებას არ ამოწმებენ

(ფოთი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

მშრომელთა დეპუტატების ფოთის ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს პარტიულ კრებაზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, პარტბიუროს მდივანი ამხ. ი. მესხი პრაქტიკულად ეხმარება რიგით კომუნისტებს დავალებათა შესრულების საქმეში. ამის შედეგად პარტიული კრების მიერ მიღებული დადგენილებანი დროზე სრულდება.

მაგალითად, საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრის მეცადინეობა (პროპაგანდისტი ამხ. ე. გველესიანი) სუსტად მიმდინარეობდა, ზოგიერთი მსმენელები ხშირად აკლდებოდნენ მეცადინეობას. წრეს არ ჰქონდა მუდმივად საშეცადინო ადგილი. აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად პარტიულმა კრებამ მიმდინარე წლის ივლისში მიიღო სათანადო დადგენილება. წრის მორიგ მეცადინეობაზე პარტბიურომ შეამოწმა დადგენილების შესრულების მიმდინარეობა. ამის შემდეგ წრის მუშაობა საგრძნობლად გარდაიქმნა.

მაგრამ პარტორგანიზაციის ზოგიერთი ხელმძღვანელი მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების საქმეს სრულიად უგულებელჰყოფს. მაგალითად, გრემის მექანიკური ქარხნის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი კ. ზარანდია) „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად თუმცა რამდენიმე დადგენილება მიიღო, მაგრამ ამ დადგენილებათა შესრულება არ შეუმოწმებია. ამის გამო მდგომარეობა ჯერაც არ გამოსწორებულა. არ ტარდება პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა თათბირები, არ ეწყობა ლექციები და კონსულტაციები. ზოგიერთი კომუნისტი ჯერ არ გასცილებია „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" პირველი თავის შესწავლას.

ასევე სუსტად მუშაობენ მიღებულ დადგენილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად ევკალიპტის სანერგის (მდივანი ვ. თავბერიძე), ადგილობრივი მრეწველობის (მდივანი შ. მიქიაშვილი) და ჭალადიდის საკოლმეურნეო (მდივანი დ. ქორქია) პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

კ. ტაბაღუა

გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა თავდაცვითს მუშაობაზე

ხელმძღვანელობდნენ რა XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებებით, გუდაუთის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივი თავდაცვითი მუშაობის დარგში სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს. გაიზარდა მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მისწრაფება სამხედრო-თავდაცვითი მუშაობისაკენ.

მიმდინარე წელს რაიონში ვოროშილოვისებური მსროლელის ნიშანზე ნორმები უნდა ჩაებარებინა 150 კაცს, ხოლო ჩააბარა 478 კაცმა; მშთ-ს I საფეხურის ნიშანზე—307 კაცს, II საფეხურისაზე—13-ს; მომზადებულია აგრეთვე სანიტარული თავდაცვის I და II საფეხურის 1.339 ნიშნოსანი და 92 ვოროშილოვისებური მხედარი.

რაიონში არსებობს თავდაცვა-ავიაქიმის სამი პირველადი ორგანიზაცია, სადაც წევრთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება. მიღწევები თავდაცვითი საქმეში მოპოვებულია პარტიული ორგანიზაციების სერიოზული მუშაობით, მათი მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობით.

არტელ „კრასნი გრუზიას" პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი — პ. კუცია) თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და მუშა-მოსამსახურეთა შორის სანიმუშოდ დააყენა მასობრივი თავდაცვითი მუშაობა. პარტიული ორგანიზაცია თავის კრებებზე სისტემატურად იხილავს თავდაცვითი მუშაობის საკითხებს და სახავს ღონისძიებებს მუშაობის შემდგომი გარდაქმნისათვის.

კურორტ ფსირცხის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი — კონონევიჩი) მშრომელთა მასებში თავდაცვითი მუშაობის გაძლიერებისათვის სუსტად მუშაობდა. საქ. კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიკომმა დროულად მიუთითა ამ პარტიულ ორგანიზაციას სუსტ მუშაობაზე, რის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა. ამჟამად აქ მომზადებულია საჰაერო ქიმიური თავდაცვის 200 ნიშნოსანი. ახლა პირველადი პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად იხილავს თავდაცვითი მუშაობის საკითხებს და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციას ეხმარება პრაქტიკულ მუშაობაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს ყურადღებას არ აქცევს. მიუხედავად იმისა, რომ საქ. კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიკომმა ბიუროზე ორჯერ განიხილა საკითხი ფსირცხის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის სუსტი თავდაცვითი მუშაობას შესახებ და დაუსახა მას სათანადო ღონისძიებანი, ამ პარტორგანიზაციას დღემდე არ გარდაუქმნია მუშაობა ამ მხრივ. ასევე ითქმის საავადმყოფოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციაზე, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში პარტიულ კრებაზე ერთხელაც არ განუხილავს თავდაცვითი მუშაობის საკითხი.

ტ. გელენავა

სააგიტაციო მუშაობა რკინიგზის კვანძზე

თბილისის რკინიგზის კვანძის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ ბოლო დროს საგრძნობლად გააუმჯობესეს მასობრივ-პოლიტიკური სააგიტაციო მუშაობა. მაგალითად, საორთქლმავლო დეპოს პარტორგანიზაცია (მდივანი — ამხ. ვ. გეტაშვილი) სისტემატურად იწვევს აგიტატორთა თათბირებს, აძლევს მათ კონკრეტულ დავალებებს. პარტბიუროს მდივანი პირადად ესწრება აგიტატორებს აგიტაციაზე.

აღნიშნული ორგანიზაციის აგიტატორები ამხ. რ. გაბაიანი, ხიზანაშვილი, გ. კოვალიოვი კარგ აგიტატორებად ითვლებიან, პოლიტიკურ აგიტაციას უკავშირებენ წარმოების საკითხებს, რის შედეგადაც საორთქლმავლო დეპოში შრომის დისციპლინა განმტკიცდა და გაცდენა-დაგვიანება ლიკვიდირებულია.

ენერგომომარაგების მე-2 უბნის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ა. გოლიაძე და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი თ. ქელივიძე საუკეთესოდ ხელმძღვანელობენ პოლიტიკურ აგიტაციას. თვეში სამჯერ იწვევენ აგიტსემინარს, ამუშავებენ სემინარზე შრომის საკითხებს, აძლევენ აგიტატორებს კონკრეტულ დავალებებს, ამოწმებენ მათს მუშაობას და ეხმარებიან მათ პოლიტიკური აგიტაციის შემდგომ გაუმჯობესებაში, ამ ორგანიზაციაში მოწინავე აგიტატორებად ითვლებიან ბ. კუტუბიძე, ფ. ულანოვი, კ. კობიძე და სხვ.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის მდივნები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სააგიტაციო მუშაობის დაყენებას. კონდუქტორთა რეზერვის პარტიული ორგანიზაციის (მდივანი — ამხ. მოგელაძე) მიერ გამოყოფილ აგიტატორებს ს. მაღრაძეს, ე. დეკანოსიძეს, პ. დანელიას და ნ. აბრამოვს დიდიხანია საუბარი არ ჩაუტარებიათ თავიანთ ბრიგადებში.

ნავთლუღის სახალხო სადგურის პირველადი პარტორგანიზაცია (მდივანი — ამხ. ბოდოკია) სუსტად ხელმძღვანელობს საგიტაციო მუშაობას.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების ურყევად გატარებისათვის ბრძოლაში პარტიულმა ორგანიზაციებმა მაღალ საფეხურზე აიყვანონ პოლიტიკური აგიტაცია ისე, რომ იგი მთლიანად შეესაბამებოდეს წარმოების მოთხოვნებს.

ი. გიგიტაშვილი

ამიერ-კავკასიის ლ. ბერიას სახელობის რკინიგზის მე-3 პოლიტგანყოფილების კონსულტანტი.

* * *

თბილისი. საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ბერიას სახელობის რაიკომის პარტკაბინეტი. სურათზე: რაიკომის პროპაგანდისტი ამხ. ნ. ა. ტოროშელიძე ემზადება მორიგი მეცადინეობისათვის თემაზე: „ბოლშევიკები და მენშევიკები პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში".

ფოტო ვ. ობლიაპინისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სამხედრო სწავლება რაიონის აქტივისათვის

ქუთაისის რაიონი, (საქდესი) საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომმა პარტიული და საბჭოთა აქტივისათვის მოაწყო სამხედრო სწავლების ათი ჯგუფი, სადაც მეცადინეობენ პირველადი პარტორგანიზაციებისა და პარტბიუროს მდივნები და პასუხისმგებელი საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები — სულ 165 კაცი.

სამხედრო სწავლების ჯგუფები შექმნილია კვახჭირის, ოფშკვითის, გეგუთის, მექვენის, ქვიტირის, ოფურჩხეთისა და სხვა სასოფლო საბჭოების ცენტრებში.

სამხედრო სწავლების დღეებად მიჩნეულია თვეში სამი დღე. მეცადინეობა იქნება არასამუშაო საათებში. აღნიშნული ჯგუფები გაივლიან 135-საათიან სასწავლო პროგრამას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

გრიგოლ სიმონის-ძე **გობეჯიშვილი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წ., საკანდიდატო ბარათი № 2164588—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ვლადიმერ მელიტონის-ძე **ბოკერია,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წ., საკანდიდატო ბარათი № 1263958—როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; აკაკი ამბროსის-ძე **კვირიკეიშვილი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წ., საკანდიდატო ბარათი № 1675456 — როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; სპირიდონ ლაზარეს-ძე **ივანეიშვილი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1926 წ., პარტბილეთი № 1546476 — როგორც მსჯავრდადებული მკვლელობისათვის; სიმონ ივანეს-ძე **საკარული,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წ., პარტბილეთი № 2848759 — როგორც მსჯავრდადებული სპეკულაციისათვის; ვლადიმერ ერმილეს-ძე **იოსელიანი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წ., პარტბილეთი № 2863038 — როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; გოგი მარკოზის-ძე **ფარადაშვილი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წ., პარტბილეთი № 3722683—როგორც მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; გიორგი იაგორის-ძე **კიკილაშვილი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წ., საკანდიდატო ბარათი № 2160721 — კოლმეურნეობის მიწის მითვისებისათვის; გიორგი სიმონის-ძე **ალადაშვილი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წ., საკანდიდატო ბარათი № 1674075 — როგორც მსჯავრდადებული ხულიგნობისათვის; ივანე გიორგის-ძე **ქათამაძე,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წ., საკანდიდატო ბარათი № 2155731 — როგორც მსჯავრდადებული სახელმწიფო თანხების მითვისებისათვის.

ექ. რ. ქორჩილავა

თბილისის მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის დირექტორი.

ბაქტერიოფაგით მკურნალობა

ბაქტერიოფაგი იხმარება როგორც სამკურნალო, ისე პროფილაქტიკური მიზნებისათვის მთელ რიგ ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბაქტერიოფაგი ადვილად შლის და უმკლავდება მთელ რიგ ინფექციურ ავადმყოფობათა წარმომშობ ბაქტერიებს. მკურნალი ექიმის ხელში იგი წარმოადგენს საუკეთესო ბასრ იარაღს, თუ გამოყენებული იქნება წესიერად, ე. ი. დაავადების ნიშნების აღმოჩენისთანავე. ბაქტერიოფაგით მკურნალობის მიღწევა და ეფექტიანობა დამოკიდებულია მის დროულად ხმარებაზე. ბაქტერიოფაგი მოქმედებს მხოლოდ მიკრობებზე და მას არ ძალუძს აღადგინოს ორგანიული დარღვევანი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვან ხანგრძლივი დაავადების დროს. ამიტომ სწორი არ არის ზოგიერთი მკურნალი ექიმის მიდგომა, როცა ისინი ბაქტერიოფაგს იყენებენ, როგორც უკანასკნელ საშუალებას.

თბილისის ეპიდემიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამზადებს მრავალგვარ ბაქტერიოფაგს — დიზენტერიის, მუცლის ტიფის, პარატიფის და სხვ. წინააღმდეგ. ბაქტერიოფაგის ყოველი ცალკეული სახე მოქმედებს მხოლოდ განსაზღვრულ მიკრობზე. მაგალითად, თუ მუცლის ტიფის დროს პიოფაგი ან კოლიფაგი ვიხმარეთ, ვერავითარ დადებით შედეგს ვერ მივაღწევთ.

ბაცილარული დიზენტერიის და სხვა მწვავე კოლიტების დროს ვხმარობთ დიზენტერიის ფაგს და ინტესტიფაგს. დიზენტერიის ფაგი შლის დიზენტერიის გამომწვევ მიკრობებს.

ინტესტიფაგით შეიძლება სარგებლობა ისე, რომ არ დაველოდოთ ლაბორატორიულ გამოკვლევების შედეგებს, არამედ შეგვიძლია მივცეთ დაავადების პირველი ნიშნებისთანავე, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც სრულებით არა გვაქვს საშუალება ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების, რადგან მასში შედის ნაწლავთა ინფექციის თითქმის მთელი ფლორა.

დიზენტერიის ფაგისა და ინტესტიფაგის ხმარების წესი შემდეგია: ბაქტერიოფაგი ეძლევა ავადმყოფს სამჯერ დღეში 3-4 საათის დროგამოშვებით. ბავშვებს საერთოდ ეძლევა ბაქტერიოფაგი ყოველ ორ საათში ორ-ორი კუბური სანტიმეტრი. ბაქტერიოფაგით მკურნალობის დროს დაცულ უნდა იქნას სრული დიეტა, შეიძლება მხოლოდ გადადუღებული წყლის დალევა.

ძალიან დასუსტებისა და დაუძლურების შემთხვევაში ავადმყოფს შეიძლება მივცეთ ბაქტერიოფაგი ღამით, რომ დღისით შესძლოს მსუბუქი საკვების მიღება.

ბაქტერიოფაგის განმეორებითი მიღება შეიძლება ვურჩიოთ იმ შემთხვევაში, როდესაც მკურნალობის პირველი დღის შემდეგ ავადმყოფს განსაზღვრული გაუმჯობესება ემჩნევა.

ბაქტერიოფაგი იხმარება აგრეთვე პროფილაქტიკური მიზნით მთელი რიგი ეპიდემიების დროს, საერთოდ, ამ დროს ბაქტერიოფაგი ეძლევა 3 დღეს უზმოზე ხუთ-ხუთი კუბური სანტიმეტრი დღეში სამჯერ.

ერთნი გვირჩევენ ვაძლიოთ ბაქტერიოფაგი დაავადების დაწყების მე-8 დღიდან ყოველდღიურად 10 კუბური სანტიმეტრი უზმოზე, 2-3 კოვზ გადადუღებულ წყალში გახსნით. მეორენი გვირჩევენ დაავადების პირველი დღიდანვე ვაძლიოთ ავადმყოფს 40-50 კუბური სანტიმეტრი. ბაქტერიოფაგის მიცემის დროს არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ არავითარი უარყოფითი შედეგი მისგან არ არის მოსალოდნელი და ის საშიშროებას არ წარმოადგენს.

ჩირქოვანი დაავადებების დროს იხმარება სტაფილო ან სტრეპტოფაგი, დაავადების წარმოშობის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შესაძლებლობა არა გვაქვს, ვხმარობთ პიოფაგს, რომლის შემადგენლობაში შედიან ბაქტერიოფაგები ჩირქმბადი მიკრობების წინააღმდეგ.

ჩირქოვანი დაავადებების დროს (ფურუნკულები, კარბუნკულები, აბსცესები, ფლეგმონები, მასტიტები და ჩირქოვანი პლევრიტები) ბაქტერიოფაგი შეჰყავთ თვით ბუდეში ან უკეთებენ სველ საფენებს ან კომპრესებს, იმ შემთხვევაში, როდესაც დიდძალი ჩირქია დაგროვილი, ჩვეულებრივ ჯერ ჩირქი უნდა იქნას გამოშვებული და შემდეგ შეყვანილ იქნას ბაქტერიოფაგი.

ადგილობრივ მკურნალობასთან ერთად, ყველა ამ დაავადების დროს შეიძლება ბაქტერიოფაგით საერთო მკურნალობა: შეგვყავს კანქვეშ არა უმეტეს 3-ჯერ 1-2 კუბ. სანტიმეტრი ბაქტერიოფაგი 24-48 საათის დროგამოშვებით.

ჩირქოვანი ოპერაციების დროს ბაქტერიოფაგით უნდა გაიჟღინთოს ჩირქოვანი მიდამო და ბუდეები, შიგ უნდა დატოვებულ იქნას ბაქტერიოფაგით გაჟღენთილი ტამპონი.

სეპსისების დროს საუკეთესო საშუალებაა ბაქტერიოფაგის შეყვანა ვენაში.

ბაქტერიოფაგის ინტრავენოზურად შეყვანა იწვევს მაღალ რეაქციას, სიცხის მკვეთრად აწევით, ამის გამო დასუსტებული, გულით ძალიან დაავადებული ავადმყოფობისათვის რეკომენდებული არ არის.

ინტრავენოზურად ბაქტერიოფაგის შეყვანა ნაჩვენებია მხოლოდ კლინიკურ პირობებში.

ვენაში შესაყვანი ბაქტერიოფაგი კეთდება განსაკუთრებულ საკვებ ნიადაგზე, ამის გამო მკურნალმა ექიმმა, რომელიც იწერს ბაქტერიოფაგს ვენაში შესაშხაპუნებლად, რეცეპტზე გარკვევით უნდა აღნიშნოს, რომ მას ბაქტერიოფაგი სჭირდება ვენაში შესაყვანად.

უმეტეს შემთხვევაში სეპსისები გამოწვეულია სტრეპტოკოკებით, ამის გამო ამ შემთხვევაში სარგებლობენ სტრეპტოფაგით.

ბაქტერიოფაგით მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე პირის ღრუს მიდამოს დაავადების მკურნალობის დროს, ამ შემთხვევაში ბაქტერიოფაგი შეჰყავთ ლორწოვანი გარსის ქვეშ, ინექციას აკეთებენ ღრძილის ბუდეებში. ჩვეულებრივად ხმარობენ პიოფაგს, სტაფილო ანუ სტრეპტოფაგს.

ფაგოთერაპიას იყენებენ და კარგ შედეგსაც აღწევენ თვალის დაავადების პრაქტიკაში.

გინეკოლოგიურ დაავადებათა დროს ბაქტერიოფაგს ხმარობენ, როგორც სამკურნალო საშუალებას; ის იხმარება კუნთებში და აგრეთვე შეჰყავთ თვით საშვილოსნოში.

ქუნთრუშის გართულების დროს ბაქტერიოფაგი შეჰყავთ პირდაპირ ჯირყვლებში ან კანქვეშ.

ბაქტერიოფაგით მკურნალობის უდიდესი შედეგები ჩვენს საბჭოთა კავშირის სამკურნალო დაწესებულებებში თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ რა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მას მთელ რიგ ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამას ადასტურებენ მიკრობიოლოგების, ეპიდემიოლოგებისა და ინფექციონისტების საკავშირო კონფერენციაზე გამოსული მთელი რიგი სპეციალისტები. ეს სპეციალისტები ბაქტერიოფაგით მკურნალობის საქმეს უდიდეს როლს ანიჭებენ.

ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევენ ბაქტერიოფაგის საქმის მეცნიერულ დონეზე დაყენებას.

ჯერ კიდევ 1936 წელს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ განიხილა ბაქტერიოფაგის საჭიროება და გადასწყვიტა თბილისში საკავშირო მნიშვნელობის ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის მშენებლობა. დღეს ინსტიტუტის მშენებლობა 80 პროცენტით არის შესრულებული, მთელი რიგი ობიექტები შესულია ექსპლოატაციაში. წელს ინსტიტუტი ამზადებს 18-ნაირ სხვადასხვა ბაქტერიოფაგს რამდენიმე ათასი ლიტრის რაოდენობით.

ბაქტერიოფაგის ხმარების ზოგიერთი საკითხის გამარტივება-გაუმჯობესებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ბაქტერიოლოგთა და მკურნალ ექიმთა ურთიერთ თანამშრომლობა.

ზემოჩამოთვლილი განმარტებანი ამომწურავ ხასიათს როდი ატარებენ, მსურველს, საქმის გამარტივებისათვის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია კონსულტაციისათვის მიმართოს ეპიდემიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტს. ამავე ინსტიტუტში შეიძლება ყველანაირი ბაქტერიოფაგის შეძენა როგორც დიდი რაოდენობით, ისე ინდივიდუალური რეცეპტებითაც.

მაკო საფაროვ-აბაშიძე

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო იუწყება, რომ 11 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, 1879 წელს განახლებული ქართული რეალისტური თეატრის უნიჭიერესი მსახიობი, ქართული მხატვრული მეტყველების დიდი ოსტატი—მარიამ (მაკო) მიხეილის-ასული საფაროვი-აბაშიძე.

მ. საფაროვ-აბაშიძის დამკრძალავი კომისია

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დადგენილებით შესდგა მ. საფაროვ-აბაშიძის დაკრძალვის მომწყობი კომისია სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის **შალვა დადიანის** თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან: **ა. ხორავა, ა. ვასაძე, ნ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, ნ. გოცირიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ი. გრიშაშვილი, ა. წუწუნავა, ი. ალიხანიანი, ა. თაყაიშვილი, ა. ფალავა, გ. ბუხნიკაშვილი, კ. შახაზიზოვი, შ. კილოსანიძე.**

მ. საფაროვ-აბაშიძის ცხოვრების გზა

გასული საუკუნის ქართული თეატრის უნიჭიერესი მსახიობი, საქ. სსრ სახალხო არტისტი მარიამ (მაკო) მიხეილის-ასული საფაროვი-აბაშიძე დაიბადა 1860 წ. 12 თებერვალს ქ. თელავში. მამა-მისი მიხეილი ღარიბი სოფლელი აზნაური იყო, მას ბევრი შვილი ჰყავდა და ოჯახის რჩენა უჭირდა, ამიტომ პატარა მაკოს აღზრდა იკისრა ბებია ნინომ, რომელიც ყვარელში ცხოვრობდა. ბავშვმა წერა-კითხვა ბებიას ხელმძღვანელობით ისწავლა, ხოლო როცა 8 წლის გახდა, იგი ჩაიყვანეს თელავში და წმინდა ნინოს სასწავლებელში მოაწყეს. ერთი წლის შემდეგ მაკო ყვარელში ერთ, ძველი ქართული მწერლობის მცოდნე ქალს მიაბარეს. მაკომ მეცადინეობას მუყაითად მოჰკიდა ხელი და სულ მოკლე დროში შეისწავლა ჩვენი ლიტერატურა, ზეპირად ისწავლა მთელი „ვეფხის ტყაოსანი", რომელსაც შესანიშნავად კითხულობდა.

1877 წ. მაკოს ბებია თბილისში ჭავჭავაძიანთ ოჯახში გადმოსახლდა და შვილიშვილი თან წამოჰყვა. ამ ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, გ. წერეთელი და სხვ. აკაკიმ და სერ. მესხმა პირველად შეამჩნიეს მაკოს არტისტული ნიჭი და გადაწყვიტეს მისი სცენაზე გამოყვანა. 1878 წ. 27 ოქტომბერს მ. საფაროვი-აბაშიძე პირველად გამოვიდა მოლიერის კომედია „ჟორჟ დანდენში" კლოდინას როლში. მიუხედავად გამოუცდელობისა, დაკისრებული როლი მან მშვენიერად შეასრულა, რამაც მაყურებლები აღტაცებაში მოიყვანა და პრესამაც ქებით მოიხსენია.

1879 წ. აპრილში გამართულ წარმოდგენას ილია ჭავჭავაძეც დაესწრო. მან მაკო პირველად ნახა სცენაზე. მაკოს თამაშის შესახებ ილია „ივერიაში" სწერდა: „... წარმომდგენელთა შორის ერთია, რომლისთვისაც ღმერთს მიუმადლებია დიდი ნიჭი, მაგ ნიჭის პატრონი საფაროვის ქალია. ეს ისეთი აქტრისაა, რომელიც ჩვენი სცენის თვალი იქნება, თვალი, ამ აზრისანი არიან ყველანი, ვისაც კი საფაროვის ქალი სცენაზე უნახავს. ყოველ სიკეთესთან ერთი საკეთეც სჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს და ეს სიკეთე ეხლანდელ დროში, როცა ქართული ალარავის ახსოვს, მეტად ძვირფასი რამ არის".

1879 წ. ზაფხულში, როცა აღდგენილ იქნა პროფესიული თეატრი და მუდმივი დასი შეადგინეს, მაკოც მიიწვიეს მსახიობად მთავარ როლებზე და ამის შემდეგ იგი ქართულ თეატრს არ მოსცილებია.

იმავე 1879 წ. მაკო გათხოვდა. იგი შეირთო ჩვენი სცენის მეორე მშვენებამ — ვასო აბაშიძემ.

იშვიათად იყო ისეთი წარმოდგენა, რომ მ. საფაროვ-აბაშიძეს მონაწილეობა არ მიეღოს. ამიტომ მისმიერ შექმნილ სცენიურ სახეთა გალერია ძლიერ ფართოა და ფერადოვანი. მისთვის ამპლუა არ არსებობდა, იგი ერთნაირი ოსტატობით ასრულებდა დრამატიულ და კომიკურ როლებს, მისი თამაში მაყურებლებს ყოველთვის ხიბლავდა, პრესაც ყოველთვის ქება-ქებით იხსენებდა, ხოლო ყოველივე ამან კი ქართული სცენის ამ უდიდეს მსახიობს ხალხში დიდი პოპულარობა მოუპოვა.

90-იან წლებში მას ყურის ტკივილი დაეწყო, რასაც მოჰყვა თანდათანობით ყურის დაკლება. მიუხედავად ამისა, იგი სცენას მაინც არ შორდებოდა და განაგრძობდა მუშაობას, ხოლო 1900 წლებში უკვე ორივე ყურით საბოლოოდ დაყრუვდა და იძულებული შეიქნა თავის საყვარელ საქმეს როგორც არტისტი ჩამოსცილებოდა, თუმცა მას თეატრისათვის თავი არ დაუნებებია და ყოველნაირ დახმარებას უწევდა ხან როგორც დასის ხელმძღვანელ-ორგანიზატორი, ხან როგორც პიესების მთარგმნელ-გადმომკეთებელი. მან ქართულ რეპერტუარს შესძინა 8-10 თარგმნილი და გადმოკეთებული პიესა.

მ. საფაროვ-აბაშიძეს სულ უთამაშნია 200-მდე პიესაში და შეუსრულებია 300 ახალი როლი სხვადასხვა ჟანრისა.

1912 წ. მადლიერმა ქართველმა ხალხმა თავის მაღალნიჭიერ მსახიობ ქალს და თეატრის ერთგულ მოამაგეს მ. საფაროვ-აბაშიძეს გადაუხადა 30 წლის მოღვაწეობის იუბილე.

1923 წ. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააჯილდოვა იგი, მიანიჭა საქ. სსრ სახალხო არტისტის სახელწოდება და დაუნიშნა პერსონალური პენსია.

1940 წ. თებერვალს მ. საფაროვ-აბაშიძეს შეუსრულდა 80 წელი დაბადებიდან, რაც საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ აღნიშნა საზეიმო საღამოს მოწყობით. საღამოს თვით მხცოვანი მსახიობი დაესწრო და სამადლობელი სიტყვით მიმართა დამსწრეთ. ეს იყო მისი გამოსათხოვარი სიტყვა.

მ. საფაროვ-აბაშიძე ავადმყოფის სარეცელზეც, გრძნობების დაკარგვამდეც არ ივიწყებდა თეატრს და განუწყვეტლივ კითხულობდა მისი მუშაობის ამბავს.

განსვენებულმა მიმდინარე წელს დაასრულა თავისი მემუარები. მემუარები მეტად საინტერესო მასალებს იძლევა ქართული თეატრის, მისი მუშაკების და სხვა მოღვაწეების შესახებ.

მ. საფაროვ-აბაშიძეს დარჩა მდიდარი არქივი. როგორც ეს არქივი, ისე ხსენებული მემუარები მან გადასცა საქართველოს თეატრალურ მუზეუმს.

დიდი არტისტი, შესანიშნავი ადამიანი

ქართული თეატრის ქურუმთა შორის უდიდესი არტისტი მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, ყურით დაავადების გამო ადრე ჩამოშორდა ქართულ სცენას. 1878 წლიდან 1895 წლამდე ამშვენებდა ის ჩვენს სცენას თუმცა შემდეგაც არ მიუტოვებია სცენიური მოღვაწეობა. ამ ხნის განმავლობაში მ. საფაროვ-აბაშიძისამ შეჰქმნა იშვიათი ოსტატობით აღბეჭდილი შესანიშნავი სახეები „ორ ობოლში"—ლუიზასი, „აღლუმში" — ნუცასი, „ციმბირელში" — მაშუა გოგოსი, „პარიზელ ბიჭში" — ჟოზეფისა, „ხათაბალაში" — ნატალიასი. მახსოვს „ხათაბალას" სპექტაკლზე დიდი არტისტის თამაშით აღტაცებული და მოხიბლული საზოგადოება თარზე შესრულებულ სიმღერას მსახიობს 5-6-ჯერ ამეორებინებდა.

სახელგანთქმულ არტისტს არც მუშათა თეატრები ჰქონდა დავიწყებული. ყოველთვის, როცა მივმართავდით, დაუზარებლად და უყოყმანოდ იღებდა მონაწილეობას ჩვენს წარმოდგენებში ავჭალის აუდიტორიაში (თბილისის პირველი მუშათა თეატრი იყო), რკინიგზის თეატრსა და სახალხო სახლში. როგორც ვიცით, ამ თეატრებში იღებდნენ მონაწილეობას ისეთი ბუმბერაზი არტისტებიც, როგორიც იყვნენ ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი, ვალ. გუნია, ევქ. ცაგარელი, კ. მესხი, მაგრამ მათში მაკო საფაროვი-აბაშიძე ყველაზე მახლობელი იყო. ის უანგაროდ და უსასყიდლოდ იხმარებოდა მუშათა სცენას.

მ. მ. საფაროვ-აბაშიძემ უკანასკნელად „სახალხო სახლში" გამართულ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა 1914 წ. 2 მარტს. მიდიოდა „ხათაბალა". მაშინ ის ყურით სრულიად დაავადებული იყო და განსაცვიფრებელი ის იყო, რომ თავის როლში არა თუ წინადადება, არამედ ბგერაც არ გამოუტოვებია.

წარმოდგენის შემდეგ მან სურათი გადმომცა წარწერით, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდებოდა: „ოდესღაც ტურფა ნატალიასგან".

მართლაც ტურფა და საყვარელი იყო ეს დიდი არტისტი როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში.

ნიკო გოცირიძე

საქ. სს რესპ. სახალხო არტისტი—ორდენოსანი.

„სიბერე და მისი მკურნალობა"

რკინიგზის ცენტრალურ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში (თბილისი) მუშაობს ექიმი-ლაბორანტი ლიდია ამბროსის-ასული კულეში. იგი უკვე რამდენიმე წელიწადია აწარმოებს დაკვირვებებს და მეცნიერულ კვლევა-ძიებას სიბერის გამომწვევი მიზეზების შესასწავლად და ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებათა გამოსანახავად.

თავისი მრავალი წლის მუშაობის მანძილზე ექ. კულეშმა მოახდინა სხვადასხვა ცდები ცხოველებზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სიბერე, წინააღმდეგ მედიცინაში ამჟამად გაბატონებული შეხედულებისა, არ არის ფიზიოლოგიური მოვლენა და, მაშასადამე, არ წარმოადგენს გარდუვალობას, არამედ დამოკიდებულია ორგანიზმის უჯრედთა ცილოვან სუბსტანციაზე. ექ. კულეშის დასკვნით, თუ მედიცინამ გამონახა საშუალება უჯრედში ცილოვანი ნივთიერების აღდგენისა, ე. ი. უჯრედის სიცოცხლის განახლებისა, მაშინ გადაწყვეტილი იქნება პრობლემა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისა.

ექ. კულეშმა მოახდინა საინტერესო ცდა ადამიანზედაც. მან მკურნალობა დაუწყო თავისთავს „სიბერის წინააღმდეგ" და უკვე განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია. ეს ცდა უკვე 5 თვეა, რაც გრძელდება.

ამ დღეებში ექ. კულეში თავისი ცდებისა და მუშაობის შესახებ მოხსენებით—„სიბერე და მისი მკურნალობა" გამოვა საქართველოს ექიმთა საზოგადოების მიკრო-ბიოლოგიური სექციის საჯარო სხდომაზე.

ინგლის-გერმანიის ომი

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 10 დეკემბერს ღამით ინგლისის ავიაცია თავს დაესხა დასავლეთ გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს, სადაც ყუმბარები დაუშინა რკინიგზის ხაზებს, ელექტროსადგურებს, აეროდრომებსა და სამდინარო დოკებს. ინგლისის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა აგრეთვე დოკებსა და ნავსადგურებს ლა-მანშის სრუტის სანაპიროზე. ამ ოპერაციებიდან თავის ბაზაში არ დაბრუნებულა ორი თვითმფრინავი.

დღეს დილით გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა აღმოსავლეთ ინგლისის ერთერთ პუნქტს. დანგრეულია რამდენიმე საცხოვრებელი შენობა. მსხვერპლი უმნიშვნელოა.

უმუშევრობა ინგლისში

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). შრომისა და ნაციონალური ბეგარის სამინისტროს ოფიციალური ცნობების თანახმად, 11 ნოემბრისათვის ინგლისში იყო 603.241 უმუშევარი, მაშინ როდესაც წინა თვეში 635.431 უმუშევარი იყო.

ქალთა შორის უმუშევრობა გაცილებით უფრო ნაკლებად შემცირდა, ვიდრე მამაკაცთა შორის. დროებით უმუშევარი იყო 163.364 მუშა, ნაცვლად 171.082 კაცისა, რაც წინა თვეში იყო, და ნაცვლად 135.233 კაცისა, რაც ერთი წლის წინათ იყო.

ბატლერის განცხადება ინგლისის მიერ ჩინეთისათვის სესხის მიცემის შესახებ

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბატლერმა გუშინ თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა პრინციპულად დასთანხმდა 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი სესხი მისცეს ჩინეთს.

ბატლერის განცხადებით, 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაცემული იქნება ჩინეთის სტაბილიზაციურ ფონდში, დანარჩენი 5 მილიონი ჩინეთს შეუძლია გამოიყენოს საქონლის შესასყიდად სტერლინგის ბლოკში შემავალ ქვეყნებში. ბატლერმა დასძინა, რომ ინგლისის მთავრობა იძულებული იყო ეს პირობა დაეთქვა იმისათვის, რომ ოქროსა და ამერიკის ვალუტის მარაგი შეენარჩუნებინა საომარი მასალის შესასყიდად.

ხმელთაშუა ზღვისა და აფრიკის ფრონტზე

ომი აფრიკაში

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ჯიბუტი-ადის-აბების რკინიგზას იმ რაიონში, რომელიც საფრანგეთის სომალის საზღვარზე მდებარეობს. ფიქრობენ, რომ გზა სერიოზულად დაზიანდა.

საომარი მოქმედება დასავლეთ უდაბნოში

ნიუ-იორკი, 11 დეკემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ინგლისელების მიერ დასავლეთ უდაბნოში დატყვევებულ იტალიელთა საერთო რიცხვი 6 ათას კაცს აღემატება. ინგლისელებმა ხელთ იგდეს დიდძალი საომარი მასალაც.

ინგლისელთა ჯარმა სიდი-ბარანი დაიკავა

ლონდონი, 11 დეკემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად აცხადებენ, ინგლისელებმა სიდი-ბარანი დაიკავეს. ინგლისელებმა ხელთ იგდეს მრავალი სამხედრო ტყვე, მათ შორის სამი გენერალი. ინგლისის არმიის მეწინავე ნაწილები ამჟამად სიდი-ბარანის დასავლეთისაკენ მიიწევენ.

უცხოეთის თვითმფრინავების მიერ იუგოსლავიის საზღვრის დარღვევა

ბელგრადი, 11 დეკემბერი (საკდესი). გაზეთ „ვრემეს" ცნობით, გუშინ უცნობი სახელმწიფოს 5 თვითმფრინავმა ორჯერ დაარღვია იუგოსლავიის საზღვარი. თვითმფრინავებმა 3 ათასი მეტრის სიმაღლეზე გადაუარეს ქალაქ ულცინსა და ბარს.

ზანგთა დისკრიმინაცია ამერიკის ფლოტში

ნიუ-იორკი, 11 დეკემბერი (საკდესი). როგორც ზანგთა ყოველკვირეული ორგანო „პიტსბურგ კურიერი" იუწყება, ამერიკის სამხედრო-საზღვაო ხელისუფლების წარმომადგენლებმა 18 ზანგი ოფიციანტიდან, რომელნიც სამხედრო-საზღვაო გემ „ფილადელფიაზე" მუშაობდნენ, 13 ოფიციანტი დაითხოვეს. დათხოვნილთ ბრალდებათ ცუდი საქციელი, რაც იმით გამოიხატა, რომ მათ გაილაშქრეს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტში ზანგებს მხოლოდ მზარეულებად და ოფიციანტებად იღებენ.

უმუშევრობა საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 11 დეკემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ოფიციალური ცნობების თანახმად, საფრანგეთში ერთ მილიონზე მეტი უმუშევარია. მთავრობამ 600 მილიონი ფრანკი გაიღო საზოგადოებრივი სამუშაოსათვის. იქმნება ახალი ბანაკები ხე-ტყის დამზადების ჩასატარებლად. ამ ბანაკებში მყოფი პირები შეშის დამზადებაზე იმუშავებენ იმისათვის, რომ ამ შეშით ბენზინი შესცვალონ. ასეთი ბანაკები შექმნეს რენოსა და სიტროენის საავტომობილო საწარმოებმა.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ტოკიო, 11 დეკემბერი (საკდესი). იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაცუოკამ ინტერვიუ მისცა უცხოელ კორესპონდენტებს.

„უპასუხა რა ამერიკელი კორესპონდენტის შეკითხვაზე, შეეცდება თუ არა იაპონიის ახლად დანიშნული ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ნომურა გააუმჯობესოს იაპონიისა და შეერთებული შტატების ურთიერთობა, მაცუოკამ უპასუხა: „უეჭველია, იგი შეეცდება ამას. იაპონიის საგარეო პოლიტიკა შემდეგში დაეყრდნობა სამი სახელმწიფოს პაქტს, რომელიც 27 სექტემბერს დადებულ იქნა იაპონიასა, გერმანიასა და იტალიას შორის, მსგავსად იმისა, როგორც წინათ იგი ეყრდნობოდა ინგლისთან არსებულ კავშირს".

თუ შეერთებული შტატები ჩაბმული იქნებიან ევროპის ომში,— შენიშნა შემდეგ მაცუოკამ, — იაპონიის პოზიცია განისაზღვრება პაქტის მესამე პუნქტის საფუძველზე. ამასთან ერთად, გამოსთქვა რა ის აზრი, რომ იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის არსებულ უთანხმოებას არ უნდა მოჰყვეს აუცილებლად ომი, მაცუოკამ სთქვა, რომ „იაპონია, უეჭველია, იძულებული იქნება დაუყოვნებლივ ჩაებას ომში, თუ შეერთებული შტატები ომს დაიწყებენ გერმანიასთან და ამრიგად პაქტის მონაწილეთ აიძულებენ გამოიყენონ ხელშეკრულების მესამე პუნქტი".

შეეხო რა შემდეგ სინგაპურში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გემთა სადგომის შექმნის შესაძლებლობას, მაცუოკამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სინგაპური მეტად მნიშვნელოვან და საშიშ პუნქტს წარმოადგენს იმისათვის, რომ მას ხელი ახლონ. იმ დახმარების შესახებ, რომელსაც ვაშინგტონი ჩან კაი-შის მთავრობას უწევს, მაცუოკამ სთქვა, რომ, თავისთავად ცხადია, იაპონიას ეს „არაკეთილსასურველ ფაქტად" მიაჩნია.

მაცუოკა შეეხო აგრეთვე სამხრეთის ზღვების რაიონში არსებულ მდგომარეობას. განსაზღვრა რა იაპონიის მიზნები სამხრეთის ზღვათა რაიონში, მან აღნიშნა, რომ იაპონიას არა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები ამ რაიონში და ცდილობს მონაწილეობა მიიღოს ჰოლანდიის კოლონიურ სამფლობელოთა ეკონომიურ განვითარებაში. იაპონიას,— აღნიშნა შემდეგ მაცუოკამ, — არა აქვს განზრახული აგრეთვე ჩაერიოს საფრანგეთისა და ტაის კონფლიქტში.

შეეხო რა იაპონიის დამოკიდებულებას იტალია-საბერძნეთის ომთან, მაცუოკამ განაცხადა, რომ იტალიასა და გერმანიას არ მიუმართავთ იაპონიისათვის თხოვნით, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული ყოფილიყო სამთა პაქტის მესამე მუხლი.

მიცემულ შეკითხვაზე იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ წარმოებული მოლაპარაკების გარშემო მაცუოკამ უპასუხა, რომ მას არ შეუძლია მისცეს ინფორმაცია მოლაპარაკების მიმდინარეობისა ან იმის შესახებ, თუ რა იმედია დამყარებული მის წარმატებაზე. ამასთან შეეხო რა იაპონიასა და ვან ძინ-ვეის „მთავრობას" შორის დადებული შეთანხმების შესაძლო გავლენას საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობაზე, მაცუოკამ სთქვა, რომ იგი ამჯობინებს თვით ცხოვრებას მიანდოს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. თავის მხრივ მან იმედი გამოსთქვა, რომ ნანკინში დადებული ხელშეკრულება იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას არ დაარღვევს. „დარწმუნებული ვარ, — განაცხადა მაცუოკამ, — შევძლებ დავარწმუნო საბჭოთა კავშირი, რომ ეს ხელშეკრულება მიიჩნიოს, როგორც მისთვის არასაზიანო".

საომარი მოქმედება ტაისა და ინდო-ჩინეთის საზღვარზე

ბერლინი, 11 დეკემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, საფრანგეთის ავტორიტეტული წრეები ადასტურებენ შანხაიდან მიღებულ ცნობას, რომ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის საჰაერო ძალებმა განახორციელეს ტაის ტერიტორიის საპასუხო ბომბარდირება.

იაპონიის მიერ ტაისთან და ირანთან დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაცია

ტოკიო, 11 დეკემბერი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, დღეს გაიმართა საიდუმლო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზედაც რატიფიცირებულია იაპონიის მიერ ტაისთან და ირანთან დადებული ხელშეკრულებანი მეგობრობის შესახებ. საიდუმლო საბჭოს სხდომას დაესწრნენ იმპერატორი, პრემიერი კონოე და კაბინეტის წევრები.

იაპონელებმა საბერძნეთის ხომალდი შეიპყრეს

შანხაი, 11 დეკემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „სინვენბაო" იუწყება, 9 დეკემბერს ხაინანის კუნძულთან იაპონელებმა შეიპყრეს საბერძნეთის ხომალდი, რომელსაც ნახშირი მიჰქონდა ჰონკონგიდან ინდო-ჩინეთში, გზაში ხომალდი დაზიანდა და იძულებული გახდა კუნძულის ერთერთ ნავსადგურში შესულიყო სარემონტოდ, სადაც მოულოდნელად შეიპყრეს იაპონელთა საზღვაო ხელისუფალთ.

მოკლე ცნობები

⊙ პონდიშერიში (საფრანგეთის ინდოეთი) სამი საფეიქრო ფაბრიკა დაიხურა. 7 ათასი მუშა უმუშევრად დარჩა.

⊙ ანატოლიის სააგენტოს ცნობით, 14 დეკემბრიდან სტამბოლში პურის ფქვილისა და პურის ფასებს კვლავ გაადიდებენ.

⊙ ვაკარეშტის საპატიმროში (რუმინეთი) პატიმართა ერთი ნაწილი აჯანყდა, როდესაც მათ სხვა საპატიმროში გადაყვანა დაუპირეს. ამ ჯგუფს სათავეში ედგა ხუთი პატიმარი, რომლებსაც მისჯილი აქვთ სამუდამო კატორღა. აჯანყება პოლიციამ ჩააქრო.

კადრი ფილმიდან „ვალერი ჩკალოვი". **სურათზე:** „ვ. ჩკალოვი ვოლგის ნაპირზე". ვ. პ. ჩკალოვის როლს ასრულებს მსახიობი ვ. ბელოკუროვი. (საკდესის ფოტოქრონიკა)

ბეთჰოვენის დაბადების 170 წლისთავი

16 დეკემბერს სრულდება გენიალური გერმანელი კომპოზიტორის ბეთჰოვენის დაბადების 170 წლისთავი. წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია გამართავს ბეთჰოვენის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სიმფონიურ კონცერტებს.

კონცერტების პროგრამაში შეტანილია: პირველი, მესამე (საგმირო), მეხუთე, მეშვიდე და მეცხრე სიმფონია, ოპერა „ფიდელიო", მუსიკა გოეთეს „ეგმონტისათვის", მუსიკა ბალეტისათვის „პრომეთეს ქმნილება", „ფანტაზია" ფორტეპიანოს, გუნდისა და ორკესტრისათვის, „№ 3 ლეონორას" და „კორიოლანის" უვერტიურები, კონცერტები № 2, № 3, № 4, და № 5 ფორტეპიანოსათვის ორკესტრის თანხლებით, შოტლანდიური და ირლანდიური სიმღერები და სხვ.

გაიმართება ბეთჰოვენის ნაწარმოებთა ერთი კამერული კონცერტიც.

კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი, ფილარმონიისა და საოპერო თეატრის სოლისტები. კონცერტებში მონაწილეობს აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო გუნდი (მოსკოვი) 100 კაცის შემადგენლობით. კონცერტები გაიმართება რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში. ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია შესრულებულ იქნება ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. (საქდესი).

○

თბილისის მუსიკალურ სკოლებში გაცხოველებული მზადება დაიწყო დიდი გერმანელი კომპოზიტორის ბეთჰოვენის დაბადების 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოების მოსაწყობად.

მეორე მუსიკალური სასწავლებელი და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სკოლა ორ საღამოს ამზადებენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ძალებით.

პედაგოგები მოსწავლეებს აცნობენ ბეთჰოვენის შემოქმედებასა და ბიოგრაფიას. (საქდესი).

ადამ მიცკევიჩის ხსოვნის საღამო

11 დეკემბერს, მწერალთა კლუბში შესდგა გამოჩენილი პოლონელი მწერლის ადამ მიცკევიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც გაიხსნა ამხ. ირ. აბაშიძის შესავალი სიტყვით.

ადამ მიცკევიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა პოეტმა იასამანმა. სიტყვებით გამოვიდნენ ლევან ასათიანი, გრ. აბაშიძე, ვ. გორგაძე. ადამ მიცკევიჩის ლექსების თარგმნები წაიკითხეს პოეტებმა კ. ჭიჭინაძემ, გრ. აბაშიძემ, ვ. გორგაძემ და იასამანმა.

მწერალთა კავშირში

13 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, დამწყებ დრამატურგთა კონფერენცია-სემინარის მორიგ მეცადინეობაზე ქართულ სექციაში ამხ. აკ. ვასაძე გააკეთებს მოხსენებას რუსთაველის თეატრზე, ხოლო ამხ. შ. ღამბაშიძე—მარჯანიშვილის თეატრზე.

რუსულ სექციაში შესდგება ამხ. გრ. ნუცუბიძის საუბარი დრამატურგიის საკითხებზე.

ლექციები და მოხსენებები

14 დეკემბერს, საღამოს სრულ 8 საათზე, „კომუნისტის" კომბინატის კლუბში (ლენინის ქ., № 28, მე-3 სართული) შესდგება ამხ. ე. ვასაძის ფასიანი ლექცია თემაზე: **„მარქსიზმი და დარვინიზმი"**.

ქრონიკა

ა. წ. 14 დეკემბერს საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის განყოფილება აწყობს პოლიკარპე კაკაბაძის პიესის „ბაყათარის ხმალი" განხილვას.

პიესის განხილვა შესდგება ხელოვნების სამმართველოს შენობაში (რუსთაველის პრ. № 23, მესამე სართული) საღამოს 8 საათზე.

განხილვაზე მოწვეულნი არიან: ალიო მაშაშვილი, ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, ს. კლდიაშვილი, ვ. გაბესკირია, დ. შენგელაია, კ. გამსახურდია, ს. ჩიქოვანი, ლ. ასათიანი, შ. აფხაიძე, აკ. გაწერელია, გ. ნატროშვილი, ერ. ასტვაცატუროვი, აკ. ბელიაშვილი, ი. ვაკელი, კ. კალაძე, ნ. ლორთქიფანიძე, ი. მოსაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, პავლე ინგოროყვა, ალ. ქუთათელი, ბ. ჟღენტი, ვ. წულუკიძე, რ. გვეტაძე, ალ. ჭეიშვილი, აკ. ვასაძე, შ. ღამბაშიძე, ვ. ქუშიტაშვილი.

რადიოგადაცემა დღეს

9.10—გაზეთ „პრავდის" მოწინავე; 9.35—პოპულარული კლასიკური მუსიკის კონცერტი; 10.00—წერილები გაზეთებიდან; 10.30—კონცერტი სკოლამდელთათვის; 10.50—კონცერტი; 11.30—თბილისის ახალი ამბები ქართ. და რუს. ენ.; 12.00—გადაცემა ციკლიდან „ჰაინე მუსიკაში"; 12.45—გადაცემები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე; 13.00—უკანასკნელ ცნობათა დღის გამოშვება (მოსკოვიდან); 16.50 — გადაცემათა პროგრამა ქართ. და რუს. ენ.; 17.00 — გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის ქართ. ენაზე (ი. ჭავჭავაძის „განდეგილი"); 18.00—კავკასიის ხალხთა სიმღერები; 18.30—უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართ. და რუს. ენ.; 18.58—დროის შემოწმება; 19.20—კონცერტი; 20.00—უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება; 20.30 — კონცერტი სახელმწიფო ოპერის დარბაზიდან; 00.30—უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება და საათის რეკა კრემლის კოშკიდან.

ავჭალის ჩაის საწონი ფაბრიკის პირველი პროდუქცია

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. [illegible] ბრძანებით ავჭალის ჩაის საწონი ფაბრიკა 1941 წლის 1 იანვრიდან შეტანილია სახალხო კომისარიატის მოქმედ საწარმოთა რიცხვში. ამჟამად ფაბრიკაში მთავრდება ავტომატური [illegible] რეგულირება და სხვა მოწყობილობის შემოწმება. ამავე დროს ჩქარი ტემპით სწარმოებს მუშაობა წყალსადენის, კანალიზაციისა და საქვაბე მეურნეობის მოწყობის დასამთავრებლად.

მოწყობილობის შემოწმების პროცესში ახალმა ფაბრიკამ უკვე გამოუშვა პირველი პროდუქცია — დაახლოებით 10.000 კილოგრამი მზა ჩაი. ავტომატურ სასწორთა შემწეობით სწარმოებს ჩაის განწონვა 50-გრამიან საკრულებად და ხელით შეფუთვისას 25, 50 და 100-გრამიან საკრულებად.

წლის ბოლომდე ფაბრიკა დაახლოებით 100.000 კილოგრამ ჩაის გამოუშვებს. ავჭალის ფაბრიკა ყველაზე მძლავრი ჩაის საწონი ფაბრიკაა სსრ კავშირში (მისი საპროექტო სიმძლავრე უდრის 5.000.000 კილოგრამ ჩაის წელიწადში). უკვე მომავალ წელს განზრახულია 1.800.000 კილოგრამამდე მზა ჩაის განწონვა. შემდგომ წლებში ფაბრიკის სიმძლავრე თანდათან გადიდდება. ავჭალის ფაბრიკაში განწონილი ჩაით მომარაგებულ იქნებიან ამიერკავკასიის რესპუბლიკები, ორჯონიკიძის მხარე და სხვა მხარეები და ოლქები, რომელნიც ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარეობენ.

ავჭალის ჩაის საწონი ფაბრიკის მშენებლობის დამთავრება დიდი მოვლენაა. ფაბრიკის საექსპლოატაციოდ გადაცემა და მის მიერ გამოშვებული პროდუქციის თანდათანობით ზრდა საშუალებას მოგვცემს შევამციროთ, ხოლო შემდეგ სრულიად შევწყვიტოთ განწონილი ჩაის შემოზიდვა რსფსრ-დან და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან, სადაც ჩაის საწონი ფაბრიკები მოიპოვება. (საქდესი).

ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

18 დეკემბერს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტული სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა. პროპაგანდისტების დასწრება სავალდებულოა.

18 დეკემბერს, საღამოს 8 ს. და 30 წ. შესდგება მორიგი ლექცია ქართულ ენაზე საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლექციათა ციკლიდან თემაზე: **„პლეხანოვის ბრძოლა ნაროდნიკობის წინააღმდეგ და ლენინის მიერ ნაროდნიკობის საბოლოო განადგურება"**.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3725419, გაცემული შალვა ივანეს-ძე **ქველიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2849274, გაცემული ივაკ გოგის-ძე **ტაკალანძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — I. „მთების გული" (მე-3 მოქმ.), II. კონცერტი დ. ბადრიძის მონაწილეობით, **რუსთაველის სახელობის** — „უდანაშაულო დამნაშავენი", **მარჯანიშვილის სახელობის** — „მადამ სან-ჟენ", **მუსკომედია** — „თივა და ავი ძაღლი", **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — „სკაპენის ოინები" (მე-40 აბ.), **გრიბოედოვის სახელობის** — „დედინაცვალი", **სომხური დრამა** — „ურიელ აკოსტა".

კინოებში: რუსთაველის სახ.—„მეხუთე ოკეანე", **დღისით** — „აიგიულ", **ოქტომბერი** — „მეოთხე პერისკოპი", **დამკვრელი** — „მეხუთე ოკეანე", **დღისით** — „აზამატ", **კომკავშირელი** — „გმირის ძმა", **სპარტაკი** — „არსენა", **ლუქსემბურგის სახ.** — „რუსლან და ლიუდმილა", **26 კომ. სახ.** — „შვიდი მამაცი", **კომინტერნი** — „გმირის ძმა", **განთიადი** — „მეხუთე ოკეანე", **წითელი არმიის სახლი** — „მუსიკალური ისტორია", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „მეოთხე პერისკოპი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „ნათელი გზა", **მეცნიერება და ცოდნა** — „მშობლიური კერა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

13 დეკემბერს
I **მთების გული** მე-3 მოქმ.
II **კონცერტი** ორ განყოფილებად სსრკ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დიდი საოპერო თეატრის სოლისტის **დავით ბადრიძის** მონაწილეობით.

14 დეკემბერს
ჩიო-ჩიო-სან

15 დეკემბერს
ძე-5 აბ. მე-4 წარმ.
დ ა ი ს ი
სსრკ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დიდი საოპერო თეატრის სოლისტის **დავით ბადრიძის** მონაწილეობით.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

13 დეკემბერს
უდანაშაულო დამნაშავენი

14 დეკემბერს
გიორგი სააკაძე

15 დეკემბერს
გიორგი სააკაძე

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

13 დეკემბერს
მადამ სან-ჟენ

14 დეკემბერს
ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა

15 დეკემბერს
გიორგი სააკაძე

დასაწყისი საღ. 8 ს 30 წ.

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

თბილისის ქაფსართავი ფაბრიკის ბალანსი 1940 წლის 1 იანვრისათვის (ათას მან.)

	აქტივი			პასივი	
1	ძირითადი საშუალებანი	2280	1	საწესდებო ფონდი	27.3
2	მასალა, ნედლეული და სათბობი	762	2	სპეციალური ფონდები	86
3	დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრიკატები	26	3	რეზერვები და მოსალოდნელი გადასახდელები	10
4	საქონელი და მზა ნაწარმი	40	4	მოკლევადიანი კრედიტები	42
5	გადაგზავნილი საქონელი და შესრულებული სამუშაოები	210	5	ანგარიშსწორება (კრედ.)	850
6	შემყიდველთა მიერ აუნაზღაურებელი საქონელი	122	6	მიმდინარე წლის დაგროვება	230
7	ფულადი საშუალებანი	303			
8	ანგარიშსწორება (დებიტორ)	27			
9	მომავალი წლების ხარჯები	32			
10	საშუალებანი კაპიტალურ რემონტში	1			
11	შენატანები, ანარიცხები და სხვა განყენებული საშუალებანი	148			
	ბალანსი...	3951		ბალანსი...	3951

დანაკარგისა და დაგროვების ანგარიში

1. დანაკარგი საქონლისა და მზა ნაწარმის რეალიზაციით	—	1. დაგროვება საქონლისა და მზა ნაწარმის რეალიზაციით	186
2 დანარჩენი დანაკარგი	99	2. დანარჩენი დაგროვება	143
სულ	99	სულ	329
დაგროვების სალდო	230	დანაკარგის სალდო	—
სულ	329	სულ	329

ფაბრიკის დირექტორი **კუბლაშვილი.** მთ. ბუღალტრის თანამდებობის დროებით აღმსრულებელი **იუნგერმანი.**

ბალანსი და დანაკარგისა და დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ 1940 წლის 11 თებერვალს.

635 საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცენტრ. ბუღალტერიის უფროსი **ჩალთიკიანი.**

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების
პრეზიდიუმი აცხადებს,
რომ ა. წ. 14 დეკემბერს, საღამოს 7½ საათზე
მოწვეულია საჯარო კრება
(საზოგადოების ბინაზე—კეცხოველის ქ. № 11)

დღის წესრიგი:

1. ანგარიში საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ. სარევიზიო კომისიის თანამოხსენება.
2. წევრთა მიღება-დამტკიცება.
3. საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნები.

საზოგადოების წევრთა დასწრება სავალდებულოა.

525 **საქ. გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმი.**

საქ. ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ 1940 წ. 31 დეკემბერს, დღის 3 საათზე ინსტიტუტის პირველ კორპუსში (მარის, № 35) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც **დისერტაციას დაიცავენ:**

I. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად პროფესორი **ნიკიფორე ვასილის-ძე ხაჩაპურიძე** თემაზე: **„Саранчевый вопрос в Закавказьи"**.

ოფიციალური ოპონენტები: 1. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. თ. გოლდიაევი**, 2. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი **ლ. პ. კალანდაძე**, 3. ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. **ნიკიტინი**.

II. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად პროფესორი **ნიკოლოზ მიხეილის-ძე ხომიზურაშვილი** თემაზე: **„ლეღვის კულტურის მონოგრაფია"**.

ოფიციალური ოპონენტები: 1. ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. **ნ. ნ. კეცხოველი**, 2 სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. **ტ. ყ. კვარაცხელია**, 3. პროფ. **ლ. ლ. დეკაპრელევიჩი**.

მსურველთ შეუძლიათ შრომებს გაეცნონ ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

520 ინსტიტუტის დირექტორი: დოც. **ნ. გელაშვილი.**

მშობლები ნატალია, პორფირე გოგორიშვილები, დები იულია ქმრით გრიშა ლორთქიფანიძით, ლიდა ქმრით სერგო ჩახუნაშვილით იუწყებიან

პიპიკო (ფილიმონ) ლეონტის-ძე ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/XII ქუთაისში, ჭიათურის, 12. 9299

მე-107 საშუალო სკოლის პედპერსონალი ადმინისტრაციასთან ერთად თანაუგრძნობს ამავე სკოლის მასწავლებელ იულია ურუტაძეს მისი დისწულის

პატარა ნანული გურგენიძის

გარდაცვალების გამო. 9301

დედა მარო, ცოლი ოლია, შვილები ანზორ, იზოლდა, ილიკო, ელენე, გრიშა, ბაბული მერკვილიშვილები, კოლია, ვერიკო კალანდაძეები იუწყებიან

ალიოშა ჩერქეზიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 15/XII 4 ს. ველიამინოვის, 7. 9302

თავართქილაძე, ნანეიშვილი, ქაჯაია, თურქია, გაბელაშვილი, აბაშიძე, ჯორჯაძე, დემურია, ლოლუა, ხოფერია, ამაშუკელი, მსხილაძე იუწყებიან კლიმენტი ბახტაძის დედის

მაიკო ეგნატეს-ასულ ბახტაძის

გარდაცვალებას. 9303

ცოლი ანა, შვილები მილიცა, ეუნია, ზინა, სიმონ გალდავაძეები, შვილიშვილები თამაზ, ვაჟა, მილი, გაიოზ იუწყებიან

ანტონ თედორეს-ძე გალდავაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14/XII 7 ს. გამოსვენება 15/XII ხოშტარიას, 11. 9304

ქმარი ვასო კარტოზია, შვილები ლუსიკო, მარგო, ქსენია, ვარეგინ, მიშა, სიძე ნიკო იუწყებიან

ნინო გიორგის-ასულ კარტოზიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14/XII 7 ს. გამოსვენება 15/XII 3 ს. ფოთის, 35. 9305

შვილები გიორგი, სოფიო, მარო, ნინო, რძლები პელაგო, ფანია შვილებით ბარტყულაშვილები, სიძე ვასო გოგოლაძე იუწყებიან

მარიამ ბარტყულაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/XII 8 ს. გამოსვენება 15/XII 2 ს. ფურცელაძის, 8. 9312

დევსუროვი, ნიკოლაიშვილი, კვაჭანტირაძე, კორინთელი, შალუტაშვილი, ალიევი, მანჯავიძე, სოლოღაშვილი, მამალაძე, თევზაძე, ახობაძე, ჩარგეიშვილი, გობეჯიშვილი, გველესიანი, გიორგაძე, სობინოვი, დოლიძე იუწყებიან ინჟინერ გ. კიკაბიძის მამის

ჟ ა რ ა მ ა ნ ი ს

გარდაცვალებას. 9284

თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის მასწავლებლები და მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ მასწავლებელს ინჟ. ი. ღ. თაქთაქიშვილს მისი დედის

ქეთევან ზაქარიას-ასულ თაქთაქიშვილის

გარდაცვალების გამო. 9294

ლადო თუთაშვილი ცოლით ნათელათი, სერგო ბაქრაძე ცოლით მაროთი, გალაქტიონ გამყრელიძე ცოლით ნინოთი იუწყებიან ექიმ

საშურა ფულარიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/XII ქ. ქუთაისში. 9295

ზაზანაშვილი, თავშავაძე, იოვაშვილი, ქინქლაძე, ხუნდაძე, დალაქიშვილი, მანჯგალაძე, ზენაიშვილი, შოვნაძე, ხუროძე იუწყებიან მეგობრის ინჟინერ

დათიკო იაკობაშვილის

გარდაცვალებას. 9296

ქმარი პლატონ, შვილები გრიგოლ, კლავდია, მაზლი გიორგი კობეშავიძეები ცოლშვილით იუწყებიან

არეთა მიხეილის-ასულ კობეშავიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/XII ქუთაისში, სადგურის, 21. 9297

„ელექტროპრომსნაბის" და „სნაბელექტროს" თანამშრომლები იუწყებიან ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე სალიბეგაშვილის მამის

ნიკოლოზ პეტრეს-ძე სალიბეგაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/XII 4 ს. ქ. გორში, ოქტომბრის ქ. 8. 9298

ცოლი თამარ, შვილი ცისო, მამა იუსტინე, ძმა ვალოდია ფულარიანები, სიდედრი ნატაშა ბაქრაძისა იუწყებიან ექიმ

საშურა ფულარიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/XII ქუთაისში, ჭავჭავაძის 26. 9300

შვილი ტასო აბაშიძე, სიძე ვალერიან სიდამონ-ერისთავი შვილებით გოგით, თენგიზით, თამარით, და ნინო, აღზრდილი სირან იუწყებიან რესპუბლიკის სახალხო არტისტის

მარიამ (მაკო) მიხეილის-ასულ საფაროვა-აბაშიძის

გარდაცვალებას, პანაშვიდი 13/XII 7 ს. წილკანის, 9. 9310

11/XII გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი

მარიამ (მაკო) მიხეილის-ასული საფაროვა-აბაშიძე

რასაც იუწყებიან მისი გულითადი მეგობრები ილია ზურაბიშვილი და დავით ჩხეიძე. 9311

შვილები ნინო, გიორგი, ნიკოლოზ ცოლებით იუწყებიან

პელაგია სიმონის-ასულ ბაგლოევის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14/XII 8 ს. კალინინის, 34, დაკრძალვა 15/XII 3 ს. კუკიის სასაფლაოზე. 9313

მეუღლე ნუცა, შვილი მუსტაფა, მშობლები მენიკი, კალისტრატე ძმა ვალოდია ცოლშვილით იუწყებიან, რომ 15/XII, 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია

ალიოშა შელიას

პანაშვიდი. 9314

და თინა, სიძე სოლომონ ჩხაიძე შვილით ცევიზხით, ბიძაშვილები, ალიოშა, კოლია (ნიკოლა) ტოროტაძეები ოჯახებით იუწყებიან

ლავრენტი (მამულა) ზაქარიას-ძე ტ ო რ ო ტ ა ძ ი ს

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ჭანჭათში 14/XII. 9215

მშობლები ილიკო, ანა, ძმები კოლია, ვალიკო, გრიშა, შოთა, დევი, დები სონია, ფაცუ, რძლები კვერნაძეები, სიძე ბ. მიქაძე იუწყებიან

ნინო კვერნაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/XII ს. მაღლაკში. 9306

მეუღლე ეკატერინე, შვილები ნინო, ილია, ჟორა, ნადია, რძალი თამარ, სიძე ლადო გუდიაშვილი, შვილიშვილები ჩუქურთმა, მოზაიკა იუწყებიან

იოსებ ემელიანის-ძე ვოლკოვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/XII 7 ს. გამოსვენება 15/XII 1 ს. კობულეთის აღმართი 5, (ვაკე). 9309

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს — 3-73-40, ეკონომიურისა და განათლება ჯანმრთელობის — 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის— 3—80—84, წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგისა და გამომშვების 3-81-65. გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 4424